



სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი (საბაუნი)

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2018-2019

სასწავლო წელი

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ:

სახელწოდება: სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო დაწესებულების სახე: სასწავლო უნივერსიტეტი

საკონტაქტო ინფორმაცია: ქ.თბილისი, კ.ქუთათელაძის ქ. N3, ტელ: 2 42 22 42

საფოსტო ინდექსი: 0186

ვებ გვერდი: www.sabauni.edu.ge

ელ - ფოსტა: info@sabauni.edu.ge

საბაკალავრო პროგრამები

საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში (Bachelor of Business Administration in Management)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული, ინგლისურ ენაზე სწავლების კომპონენტებით

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში აკადემიური ხარისხის მქონე, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები, ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროს ფართო ცოდნა, მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმატებული საქმიანი კომუნიკაციის დამყარების, დარგისთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების მეშვეობით სიტუაციების და ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზის, პრობლემების მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერების, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისა და სწორი დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი, საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის, პროფესიული დაეთიკური ნორმების დაცვის, კომპეტენციების სრულყოფისა და პროფესიონალური განვითარების მოტივაცია, რის შედეგად პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ საერთაშორისო და ადგილობრივი შრომის და განათლების ბაზრის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში), ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატურ აღქმას, სწრაფ ადაპტირებას და კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებას, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი კომპეტენციების და შესაძლებლობების რეალიზაციას და კარიერულ წინსვლას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს შემდეგი კომპლექსური საკითხების კრიტიკულ გააზრებას და გაცნობიერებას:

- ბიზნესის ადმინისტრირების მეთოდოლოგიური საფუძვლების - ძირითადი თეორიების, კონცეფციების, პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა, მათი კრიტიკული გააზრება;
- ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროში არსებული ტერმინოლოგიის ცოდნა;
- მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის ფუძემდებლური თეორიებისა და პრინციპების ცოდნა;
- მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკასთან, ინფლაციასა და უმუშევრობასთან, ბაზრის ფუნქციონირებასა და საბაზრო ეკონომიკის თავისებურებებთან, ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური ფუნქციის განხორციელებასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;
- მართვის უნივერსალური ბუნების და მენეჯმენტის აუცილებლობის გააზრება, ორგანიზაციათა მართვის სისტემაში: მიზნებში, სტრუქტურაში, მმართველობით ფუნქციებსა და კომპეტენციებში, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მართვის თანამედროვე მეთოდებში, საორგანიზაციო ურთიერთობათა რაციონალიზაციის მიმართულებებსა და ღონისძიებებში, მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების სტრუქტურაში, ძირითადი მეთოდებისა და მოდელების სპეციფიკის, მენეჯმენტის პროცესთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების გაცნობიერება;
- ბიზნესის ფუნქციების, ფორმების, მოცულობისა და ბიზნეს სექტორების, საერთოდ, ბიზნეს-საქმიანობის დაწყება-გაფართოებასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების ცოდნა;
- ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების (ზოგადი, სტრატეგიული, ოპერაციული და ინოვაციური მენეჯმენტის, პროექტების, ადამიანური რესურსის მართვის, მარკეტინგისა, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების) მართვის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა;
- ლოკალურ და გლობალურ ბიზნეს-სამყაროში კომპანიის ფუნქციონირებისა და უპირატესობის მოპოვების სტრატეგიულ შესაძლებლობებში გარკვევა, სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღებისა და სტრატეგიულ ცვლილებათა დაგეგმვა-მართვის ძირითადი მეთოდების ცოდნა;
- ბიზნეს-გარემოსა და კონკურენტული გარემოს ანალიზისათვის, კომპანიის შიდა მმართველობითი გამოკვლევისათვის შესაბამისი ინსტრუმენტებისა და მეთოდების ცოდნა;
- ბიზნესის მართვის საბაზისო სტრატეგიების შემუშავება-განხორციელებისა და კომპანიის სტრატეგიული პორტფელის შედგენა-მართვის სპეციფიკის ცოდნა, ბიზნესის მართვის სფეროსა და მენეჯმენტის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;

| | |
|--|--|
| | <ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკისა და მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების, პროექტების მომზადების, მათი მენეჯმენტისა და იმპლემენტაციის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა; • ბიზნეს-ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა მართვის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება; • ორგანიზაციების ეროვნულ, საერთაშორისო და გლობალურ ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებისა და ტენდენციების გაცნობიერება, საერთოდ, ბიზნეს-საქმიანობის მახასიათებლებისა და მენეჯმენტის პროცესზე ზემოქმედი ფაქტორების კრიტიკული გააზრება; • ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში გამოყენებადი მათემატიკური თეორიების, რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების, პრაქტიკაში მათი გამოყენების მნიშვნელობის გაცნობიერება; • საკადრო და ლიდერული პოტენციალის გამოვლენა-შეფასება-განვითარების საბაზისო მეთოდების ცოდნა, პრაქტიკაში მათი გამოყენების მნიშვნელობის გაცნობიერება; • თანამედროვე ეკონომიკური ცოდნის განვითარებისა და ინფორმაციულ საზოგადოებაში მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისათვის ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების როლისა და მნიშვნელობის გაცნობიერება. |
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>კურსდამთავრებულს აქვს მართვის მეცნიერებისა და მონათესავე დარგების თანამედროვე მიღწევათა, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის, მოდელებისა და მიდგომების იდენტიფიცირების, მათი ადექვატურად შერჩევისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების ადექვატურად შერჩევის, ბიზნეს-ამოცანების გადაჭრისას სათანადო მათემატიკური, მენეჯმენტის სფეროს სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენების უნარი; • ბიზნეს-პროცესების, ორგანიზაციული გარემოსა და მმართველობითი საქმიანობის ანალიზის, მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღებისა და სამოქმედო სტრატეგიის შემუშავება-განხორციელების სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების გამოყენების უნარი; • საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ბაზრის პირველადი მარკეტინგული კვლევის, სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისა და სტატისტიკური მახასიათებლების დადგენის უნარი; • ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის ძირითადი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენების, სამეურნეო ოპერაციების ფინანსურად აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგებების შედგენის, ხარჯთაღრიცხვის წარმოების, პროდუქციის თვითღირებულების დაანგარიშების, ბიუჯეტის შედგენის უნარი; • როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური მუშაობის, ლიდერული პოტენციალის გამოვლენისა და მმართ- |

| | |
|----------------|---|
| | <p>ველობით ფუნქციათა (დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივირების, კონტროლისა და კოორდინაციის) განხორციელების, საკადრო ღონისძიებათა დასახვის უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> • გლობალურ კომპიუტერულ ქსელებსა და კორპორატიულ საინფორმაციო სისტემებში ინფორმაციასთან მუშაობის უნარი; • წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროებში (ზოგადი, სტრატეგიული, ოპერაციული, ინოვაციური და საერთაშორისო მენეჯმენტი, პროექტების, ადამიანური რესურსის მართვა, ლიდერობა, მარკეტინგი, ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსები) კვლევითი სამუშაოების შესრულებისა და/ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელების უნარი; • პროფესიული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი. |
| დასკვნის უნარი | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნეს-გარემოს, ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულებისა და შიდა ორგანიზაციული პროცესების ანალიზი და შეფასება სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, პრობლემური საკითხების გამოვლენა-კვლევა, შედეგად მიღებული რაოდენობრივი თუ თვისობრივი ინფორმაციის ანალიზი, მონაცემთა განმარტება, საჭიროების შემთხვევაში მათი განზოგადება, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, მმართველობით გადაწყვეტილებათა და სარეკომენდაციო წინადადებების შეთავაზება ბიზნესისა და მენეჯმენტის ფუნქციონალური სფეროების შესაბამისად. კერძოდ: <ul style="list-style-type: none"> ○ კომპანიის მიკრო-მაკრო გარემოს, ორგანიზაციის საწარმოო ოპერაციებისა და მმართველობითი საქმიანობის შესწავლა, SWOT-ანალიზისა და სხვა სტანდარტული და გამორჩეული მეთოდებით მიღებული რაოდენობრივი თუ თვისობრივი ინფორმაციის ანალიზი, მენეჯმენტის პროცესზე ზემოქმედი ფაქტორების ახსნა-განზოგადება, ორგანიზაციის მიკრო/მაკრო გარემოს ცვლილებათა იდენტიფიკაცია, მათი ანალიზი, შეფასება, დასაბუთებული დასკვნისა და გადაწყვეტილებების შეთავაზება შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების თაობაზე; ○ სფეროსათვის დამახასიათებელი სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი დასკვნების გამოტანა და არგუმენტირებული წინადადებების შეთავაზება ახალი საბაზრო შესაძლებლობების გამოყენების, ოპერატიული გეგმებისა და სამოქმედო პროგრამების შემუშავების თაობაზე; ○ კომპანიის საკადრო და ლიდერული პოტენციალის გამოვლენა-განვითარების პირობების შეფასება, საკადრო და ბიზნეს-სტრატეგიების შესაბამისობის ხელმძღვანელობის სტილისა და სტრატეგიის ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით; პრობლემური სფეროების გამოვლენა, მათი გადაჭრი- |

| | |
|---------------------------|--|
| | <p>სათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება, შეგროვება, განზოგადება, ანალიზი, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და სარეკომენდაციო წინადადებების შეთავაზება სამოქმედო გეგმებისა და განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე.</p> |
| <p>კომუნიკაციის უნარი</p> | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • გლობალურ კომპიუტერულ ქსელებსა და კორპორატიულ საინფორმაციო სისტემებში ინფორმაციასთან მუშაობა; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად, შემოქმედებითად გამოყენება, ამასთან, როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი ინფორმაციის მოპოვება, შენახვა, გადამუშავება, განზოგადება; • დაინტერესებული პირებისათვის (როგორც სპეციალისტები, ისე არასპეციალისტები) სათანადო ინფორმაციის მიწოდება, დასმული პრობლემის აღწერა და პრობლემის გადაჭრის მისეული მოსაზრებების გასაგებად გადაცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე; • ქართულ და ინგლისურ ენებზე საკუთარი მოსაზრებების, მოხსენებების, როგორც წერილობით, ისე ზეპირად ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით ლოგიკურად, არგუმენტირებულად და ნათლად ჩამოყალიბება, ტექნიკური საშუალებების თანხლებით პრეზენტაციის ფორმით წარმოდგენა და დისკუსიაში მონაწილეობა; • ქართულ და ინგლისურ ენებზე საქმიანი ურთიერთობების განხორციელება: საჯარო გამოსვლები, მოლაპარაკებები, თათბირების ჩატარება, საქმიანი მიმოწერა, ელექტრონული კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე; • მოხსენების ან ესსეს ჩარჩოებში გამოკვლეული პრობლემატური საკითხის გადმოცემა, დეტალური ანგარიშის მომზადება, საკუთარი პოზიციის ლოგიკური არგუმენტირება და დისკუსიებში მონაწილეობის მიღება. |
| <p>სწავლის უნარი</p> | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროში საკუთარი სწავლის პროცესის თეორიული წყაროებისა თუ ინფორმაციული რესურსების ფართო სპექტრის (მათ შორის მენეჯმენტში საინფორმაციო ტექნოლოგიების) გამოყენებით ცოდნის გაღრმავება, საკუთარი ცოდნის ღონის თვითშეფასებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების ღონისძიებათა დასახვა-განხორციელება; • ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის ადეკვატური შეფასება; ცოდნისა და უნარების სრულყოფის მიზნით მოწინავე საერთაშორისო გამოცდილებისა და ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და დარგობრივი ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიება-გაცნობა; |

| | |
|---------------------|---|
| | <ul style="list-style-type: none"> • ინტელექტუალური განვითარების, კულტურული დონის, პროფესიული კომპეტენციის ამაღლების საჭიროების გაცნობიერება და ამ მიზნით შემეცნების მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება; • მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, პროფესიული ინტერესების გამოკვეთა, ცოდნის სრულყოფის საჭიროებების იდენტიფიცირება, ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული კომპეტენციების სრულყოფის მიმართულებათა შერჩევა და შესაბამისად სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში), სხვადასხვა სასერტიფიკატო/სატრენინგო კურსებზე და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებზე. |
| <p>ღირებულებები</p> | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და ცივილიზებული ეთიკური ნორმებით მისი წარმართვის მნიშვნელობის გაცნობიერება; • ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების, პიროვნების ღირსების, ჯგუფის წევრთა ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების, კონკურენტულ გარემოში ურთიერსარგებლიანობის პრინციპის პატივისცემა; • კოლექტივში თვითდამკვიდრების და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის, პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ჰეტეროგენულ კოლექტივში მუშაობა, მმართველობით გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა შედეგების გათვალისწინება სოციალური პასუხისმგებლობის პოზიციიდან; • პროფესიული, ორგანიზაციული, ეთიკური, სოციალური ნორმების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა, სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს-ეთიკის ნორმების დაცვა. |

| | |
|---|---|
| <p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით</p> | <p>240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2 სემესტრ-იანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).</p> |
|---|---|

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს როგორც ქართულ, ისე უცხოურ კომპანიებში ქვედა და/ან შუალედური რგოლის მენეჯერის პოზიციაზე, ეფექტიანად განახორციელოს პროფესიული, მათ შორის საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, სამეწარმეო ან სხვ. საქმიანობა, რომლისთვისაც მოითხოვება/საკმარისია აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში. ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: ტურიზმის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართულ, ისე უცხოურ ტურისტულ კომპანიებში, სახელმწიფო და კომერციული სექტორის ტურისტულ ორგანიზაციებში, საკურორტო ობიექტებზე ან/და სხვ.; ინტერკულტურული კომუნიკაციის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - კულტურის სამინისტროში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საგამომცემლო დაწესებულებებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში, სხვადასხვა მოკლე და გრძელვადიან პროექტებში და ა.შ.; თეოლოგიის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, საგამომცემლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ან/და სხვა.

საკონტაქტო პირი: თამთა მიქაბერიძე ტელ: 577151110 e-mail: mikaberidzetamta@gmail.com

საგანმანათლებლო პროგრამა: ტურიზმი (Tourism)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (Bachelor of Business Administration in Tourism)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ტურიზმში აკადემიური ხარისხის მქონე, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის სფეროს ფართო ცოდნა, ტურიზმის სფეროში საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმატებული საქმიანი კომუნიკაციის დამყარების, ტურიზმის ინდუსტრიის სპეციფიკის გათვალისწინების, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბიზნეს-პროცესებისა და ტურისტული კომპანიების/ორგანიზაციების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, დარგისთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების მეშვეობით სიტუაციების და ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზის, პრობლემების მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერების და სწორი დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი, საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათი დასამკვიდრებლად სწრაფვა, საქმიანობაში პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის, ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებების გათვალისწინების, მიღწეული კომპეტენციების სრულყოფისა და პროფესიონალური განვითარების მოტივაცია, რის შედეგად პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში), პრაქტიკულ საქმიანობაში ტურიზმის სფეროში მზარდი მოთხოვნების და ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებებისა და პერსპექტივების ადეკვატურ აღქმას, სწრაფ ადაპტირებას და კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებას, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი კომპეტენციების და შესაძლებლობების რეალიზაციას და კარიერულ წინსვლას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და
გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს შემდეგი კომპლექსური საკითხების კრიტიკულ გააზრებას და გაცნობიერებას, კერძოდ ეს არის:

- ბიზნესის და ტურიზმის თეორიების, კონცეფციების და ძირითადი პრინციპები;
- ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების: ზოგადი მენეჯმენტისა და მარკეტინგის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ძირითადი პრინციპები, მათი ურთიერთკავშირი და მნიშვნელობა;
- ტურისტული საქმიანობის რეგულირების მექანიზმები, ტურიზმის ეკონომიკის, მენეჯმენტის, მარკეტინგის კომპლექსური საკითხები;
- ტურიზმის, როგორც მსოფლიო სოციალური მოვლენის, შესაძლებლობების, პოზიტიური და ნეგატიური მხარეების თავისებურებები, მდგრადი ტურიზმის განვითარების ინსტრუმენტების მნიშვნელობა;
- საქართველოს და საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფიის კომპლექსური საკითხები;
- ტურიზმზე მაკროგარემოს (ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სოციალური, ეკოლოგიური, საინფორმაციო და სხვ.) გავლენის ასპექტები და ტურიზმის სფეროს ანალიზის რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები;
- საერთაშორისო და რეგიონულ ტურისტულ ბაზარზე ტურისტული საწარმოების ფუნქციონირების თავისებურებები, ბიზნეს-გარემოსა და ბიზნეს-საქმიანობის პროგნოზირების ძირითადი პრინციპები;
- ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის შეფასების, სწორად დაგეგმვისა და ტურიზმის ბიზნესში რესურსების გონივრულად გამოყენების ძირითადი ასპექტები;
- ტურისტულ ორგანიზაციებში მმართველობითი საქმიანობის განხორციელების მარკეტინგული ხერხები და საშუალებები, სასტუმროსა და განთავსების სხვა საშუალებების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები და მათი მართვის თავისებურებები;
- სხვადასხვა თემატური ტურების (ეკოლოგიური, საქმიანი, გამაჯანსაღებელი და სხვა ტურიზმი) ორგანიზების, დაგეგმვის და სწორად წარმართვის ძირითადი პრინციპები;
- ტურიზმის მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ძირითადი პრინციპები;
- ტურიზმისა და სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიის მართვისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, ტურიზმის ბიზნესის მომსახურების, მისი მრავალსახეობების და ტურიზმის მომსახურების გაყიდვის თავისებურებები, ტურისტული პროდუქტის წინწაწევის მიზნით გაყიდვის ინსტრუმენტების გამოყენების ძირითადი მეთოდოლოგიები.

| | |
|--|---|
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურისტული საწარმოს საქმიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით და ტურისტული ბიზნეს-საქმიანობისათვის დამახასიათებელი სტანდარტული და გამორჩეული მეთოდების გამოყენებით პრობლემის გადაჭრის გზების დადგენის უნარი; • წინასწარ მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად ტურისტული პროდუქტის გაყიდვის ადეკვატური ინსტრუმენტების განსაზღვრის და გამოყენების უნარი; • საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების თავისებურებებისა და ბიზნეს-გარემოს გათვალისწინებით ტურისტული ორგანიზაციის/ფირმის/საწარმოს ბიზნეს-გეგმის შესაბამისად კონკრეტული სამუშაოს დაგეგმვის, ტურისტული მომსახურების ორგანიზების, განხორციელების და კონტროლის მექანიზმების გამოყენების უნარი; • ტურისტული კომპანიის მუშაობის შედეგების დადგენისა და პრობლემების გადაჭრის მიზნით სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდით და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის/მონაცემების დამუშავების უნარი; • ტურისტული ორგანიზაციის ბიზნეს-საქმიანობის დაგეგმვაში, ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ბიზნეს-პროექტების დაბიზნეს-სტრატეგიების შემუშავებაში და განხორციელებაში მონაწილეობის უნარი. |
| <p>დასკვნის უნარი</p> | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურიზმის ბიზნესის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების კანონზომიერებისა და ურთიერთკავშირის გათვალისწინებით ტურისტული კომპანიის მიკრო-მაკრო გარემოზე, საწარმოო ოპერაციებზე და საქმიანობაზე ზემოქმედი ფაქტორების შესახებ დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; • ტურიზმის ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემის იდენტიფიცირება, მის გადასაჭრელად SWOT-ანალიზის, PEST-ანალიზისდა სხვა სტანდარტული და გამორჩეული მეთოდების გამოყენებით ინფორმაციის და სიტუაციის შესწავლა; • მიღებული რაოდენობრივი თუ თვისობრივი მონაცემების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება-შეფასება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; • სტატისტიკური ინფორმაციის შესწავლა-ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა და რელევანტური წინადადებების შეთავაზება ახალი საბაზრო შესაძლებლობების გამოყენების, ოპერატიული გეგმებისა და სამოქმედო პროგრამების შემუშავების შესახებ. |
| <p>კომუნიკაციის უნარი</p> | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურიზმთან და მოგზაურობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ქართულ და ინგლისურ ენებზე საქმიან დისკუსიებში, კონსულტაციებსა და მოლაპარაკებებში მონაწილეობა; |

| | |
|---------------|--|
| | <ul style="list-style-type: none"> • ორგანიზაციის საქმიანობის, სამუშაო ჯგუფში ან ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაოს, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების, წინადადებისა და მოსაზრებების შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით დეტალური ანგარიშის/მოხსენების წერილობით მომზადება და ზეპირად წარდგენა, სპეციალისტებისთვის და არასპეციალისტებისთვის ინფორმაციის გადაცემა, მათ შორის საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; • სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების, საქმიანი დოკუმენტების/ანგარიშების მომზადების, ინფორმაციის მოძიების და დამუშავების, მიღებისა და გადაცემის მიზნით თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება. |
| სწავლის უნარი | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • კომპეტენციების მუდმივი სრულყოფის აუციებლობის გაცნობიერება, შემდგომის სწავლის საჭიროების და მიმართულების დადგენა და საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება; • ბაკალავრიატში მიღწეული კომპეტენციების სრულყოფა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით დარგობრივი ლიტერატურის, თანამედროვე ინფორმაციის, სტატისტიკური მონაცემების და სხვ. შესწავლით, ბიზნესისა და ტურიზმის სფეროებში არსებული ტენდენციების და ინოვაციების გათვალისწინებით. |
| ღირებულებები | <p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესისა და ტურიზმის სფეროში არსებული ეთიკური პრობლემების ამოცნობისა და გაცნობიერების უნარი, პროფესიონალური, ეთიკური, სოციალური ნორმების ცოდნა და მათი დაცვის პასუხისმგებლობა; • სხვადასხვა ქვეყნების კულტურებისა და ტრადიციების მრავალფეროვნებისა და თავისებურებების გაცნობიერების, განსხვავებული ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებების გააზრების, გათვალისწინებისა და დაცვის პასუხისმგებლობა, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. |

**პროგრამის მოცულობა
კრედიტებით**

240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ტურიზმის ბიზნესის სფეროს კერძოდა სახელმწიფო სექტორში, ქართულ და უცხოურ ტურისტულ კომპანიებში იმ სამსახურებრივ პოზიციებზე, რომლისთვისაც მოითხოვება/საკმარისია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ტურიზმში აკადემიური ხარისხი. ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: მენეჯმენტის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიების ადმინისტრაციულ, სამეურნეო, საინფორმაციო და სხვ. სამსახურებში, ფირმებსა და საწარმოებში; ინტერკულტურული კომუნიკაციის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - კულტურის სამინისტროში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საგამომცემლო დაწესებულებებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში, სხვადასხვა მოკლე და გრძელვადიან პროექტებში და ა.შ.; თეოლოგიის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, საგამომცემლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ან/და სხვა.

საკონტაქტო პირი: იზოლდა ხოხაშვილი ტელ: 593146810; e-mail: khokhashvili@yahoo.com

საგანმანათლებლო პროგრამა: თეოლოგია (Theology)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი თეოლოგიაში (Bachelor of Humanities in Theology)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის თეოლოგიაში აკადემიური ხარისხის მქონე, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები, თეოლოგიის სფეროს ფართო ცოდნა, ექნება გაცნობიერებული ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის, მისი ინსტიტუციონალური და დოგმატურ-სადღვთისმეტყველო განვითარების, ფილოსოფიურ-შემეცნებითი სისტემების ჩამოყალიბების პროცესის, ქრისტიანული კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი კომპლექსური საკითხები, ექნება გააზრებული სხვადასხვა ტრადიციული თუ არატრადიციული რელიგიური სისტემების თავისებურებები, ექნება თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატური აღქმის და სფეროს თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის, რელევანტური მეთოდების გამოყენებით სიტუაციების და ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზის, პრობლემების მიზეზების და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერების და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების, ქართულ და ინგლისურ ენებზე კომუნიკაციის დამყარების და სხვ. უნარ-ჩვევები, ექნება ჩამოყალიბებული ინდივიდუალური ცნობიერება და განსხვავებული შეხედულებების, ტრადიციებისა თუ კულტურების მიმართ ობიექტური და ტოლერანტული პოზიცია, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა, პიროვნული და პროფესიონალური განვითარების მოტივაცია, რის შედეგად პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში), პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი კომპეტენციების და შესაძლებლობების რეალიზაციას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს თეოლოგიის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს შემდეგი კომპლექსური საკითხების კრიტიკულ გააზრებას და გაცნობიერებას:

- წმიდა წერილის წიგნთა შინაარსი და მისი ერთიანობის შეცნობა – ძველი და ახალი აღთქმის შინაარსობრივი ცოდნა, მათი ჩამოყალიბების ისტორია და ბიბლიური კანონის რაობა; ძველი და ახალი აღთქმის სხვაობისა და თეოლოგიური ერთიანობის საფუძვლების ცოდნა; ეგზეგეტიკური სკოლების წარმოშობისა და მათი სპეციფიკური ნიშნების ცოდნა; წმიდა წერილის ისტორიული და კულტურული კონტექსტის დაზუსტება და თეოლოგიური საზრისის გაცნობიერება;
- ეკლესიის ისტორია – ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ეკლესიის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცოდნა;
- საეკლესიო მოძღვრება – ეკლესიის ისტორიულ-დოგმატური განვითარების გაცნობიერება; ეკლესიის ძირითადი დოგმატებისა და მოძღვრების ცოდნა; ეკლესიის ინსტიტუციონალური ჩამოყალიბების ეტაპების, ასევე თეოლოგიური არსის, სტრუქტურის, საქმიანობისა და გამოვლინების ფორმათა ცოდნა;
- ქრისტიანული ხელოვნება – საეკლესიო ხელოვნების, ლიტურგიული ტრადიციებისა და საკრამენტული ცხოვრების არსის გააზრება;
- ფილოსოფიურ-თეოლოგიური სისტემები – ფილოსოფიის ისტორიისა და სხვადასხვა ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტრადიციათა ზოგადი ცოდნა; ფილოსოფიურ და თეოლოგიურ მოდელთა გაცნობიერება. დოგმატური ტრაქტატების სისტემატური შინაარსის ცოდნა;
- რელიგიათმცოდნეობის საფუძვლები – სხვადასხვა რელიგიური სისტემისა და რწმენის ფორმათა განვითარების ცოდნა. მსოფლიოს რელიგიათა ზოგადი ცოდნა. მათი მსგავსებისა და სხვაობათა გაცნობიერება, აგრეთვე, რელიგიათმცოდნეობის კონტექსტში ქრისტიანული რწმენის ისტორიული ადგილის განსაზღვრა;
- ქრისტიანული ლიტურგიები, მათი ტრადიციული სახეები და საკრამენტული ცხოვრება – ქრისტიანული ლიტურგიის არსის, ღმრთისმსახურების ფორმების, სხვადასხვა ტრადიციებისა და მათი წარმომავლობის ზოგადი ცოდნა; საკრამენტული ცხოვრების მნიშვნელობის გაცნობიერება;
- ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულეობით - საერთო კულტურულ პროცესში ხელოვნების მნიშვნელობისა და ადგილის გაცნობიერება; არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ევოლუციის კანონზომიერებიდან გამომდინარე ცალკეული ეტაპის მახასიათებლების ცოდნა; ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი დროის ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი ცნებებისა და კონცეფციების, აზროვნების ფორმების ცოდნა.

| | |
|--|---|
| | <ul style="list-style-type: none"> • დარგის ცოდნა-გააზრება და თეოლოგიური სპეციფიკის გათავისება – შესწავლილი დარგის მნიშვნელოვნების გაცნობიერება. ზოგადად ქრისტიანული ცივილიზაციის, საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ცხოვრებაში ქრისტიანული რწმენისა და ყოველდღიურობაში მისი ადგილის მნიშვნელობის გაცნობიერება. |
| <p style="text-align: center;">ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამოდვრო თეოლოგიის საკითხები – ეკლესიის სოციალური სწავლების განხორციელება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამოდვრო თეოლოგიის ძირითადი საკითხების გამოყენება რელიგიის გაკვეთილებზე. თანამედროვეობის ნიშანთა ამოცნობა და მიღებული ცოდნის გამოყენება საკუთარი პროფესიული გამოცდილების დამოწმებით; • ეკუმენური საქმიანობის განხორციელება – კონფესიათა შორის დიალოგის პრაქტიკული განხორციელება. ამ დიალოგის ისტორიისა და დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით შექმნილი ცოდნის გამოყენება და პრაქტიკული დასახულება როგორც რელიგიათშორის ურთიერთობებში, ასევე შიდაკონფესიურ ცხოვრებაში; • ქრისტიანულ ღმრთისმსახურებასა და საკრამენტულ ცხოვრებაში მონაწილეობა – საკრამენტული რეალობის მნიშვნელობის ცოდნის გამოყენებით რელიგიურ პრაქტიკაში აქტიური მონაწილეობა, მის მიერ არჩეულ ლიტურგიულ ცხოვრებაში გაცნობიერებულად მონაწილეობის მიღება და ასევე მსგავსი პრაქტიკის განხორციელებაში დახმარების გაწევა ყველა იმ ადამიანისთვის, რომელსაც არ აქვს თეოლოგიური განათლება; • ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით ცოდნის გამოყენება - შეუძლია ხელოვნებას, ფილოსოფიასა და ისტორიაში მიღებული თეორიული ცოდნით და შესწავლილი ტერმინოლოგიით ოპერირება და მისი გამოყენება. • უცხო გარემოში ადაპტირება და მოქმედება – შეცვლილ გარემო პირობებთან სწრაფი ადაპტირება და მისთვის უცხო გარემოში მოქმედება, განსხვავებული გარემოსა და კონკრეტული სიტუაციის რელევანტური მეთოდების გამოყენებით წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრა და დასახული ამოცანის რაციონალურად გადაწყვეტა, საკუთარი ძალის კონცენტრირება და ამის საფუძველზე მაქსიმალური ეფექტის მიღება; • დროის დაგეგმვა და მართვა (დროის მენეჯმენტი) – დროის სწორი გათვლა, გადანაწილება, დაგეგმვა, დროში საქმიანობის მართვა, დროის ეფექტურად გამოყენება და შემჭიდროებულ ვადებში მაქსიმალური ეფექტის მიღწევა. |
| <p>დასკვნის უნარი</p> | <p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> |

| | |
|---------------------------|---|
| | <ul style="list-style-type: none"> • ქრისტიანული მოძღვრების სისტემური გააზრების უნარი – თეოლოგიური საკითხების გააზრება და მისი ერთიანობაში მოყვანა, თეოლოგიურ დისციპლინათა ურთიერთმიმართების განსაზღვრა. თითოეული დოგმატური ტრაქტატის მნიშვნელობის ამოცნობა. პრობლემის დანახვა; • თეოლოგიის პირველად და მეორად წყაროთა განსხვავების, შეცნობილი შინაარსის მნიშვნელობათა განსაზღვრისა და დასკვნის გამოტანის უნარი – ქრისტიანული რწმენის ძირითადი დოგმატების ჩამოყალიბების ისტორიის ცოდნიდან გამომდინარე დასკვნის გამოტანა საეკლესიო მოძღვრების მნიშვნელობის შესახებ როგორც თეოლოგიური შემეცნებისათვის, ასევე პრაქტიკული ცხოვრებისათვის; ტრადიციის ადგილისა და როლის განსაზღვრა, თითოეული დოგმატური ტრაქტატის მნიშვნელობის, არსის, ფუნქციისა და სტრუქტურული ხასიათის განსაზღვრა; რწმენის მნიშვნელობის ჩვენება ინდივიდისა და საზოგადოებისათვის; • ბიბლიური ტექსტის თეოლოგიური საზრისის განსაზღვრის, თეოლოგიურ აზროვნებაში სხვადასხვა მოდელთა განსხვავებისა და შესაბამისად მათი საერთო პრინციპების განსაზღვრის უნარი – თეოლოგიური ჰერმენევტიკისა და ეგზეგეტიკის პრინციპების საფუძველზე ბიბლიური ტექსტებიდან დასკვნის გამოტანა, კონკრეტულ ტექსტთა თეოლოგიური საზრისის განსაზღვრა. აზროვნების სხვადასხვა პარადიგმათა არსებობის ამოცნობით დასკვნების გამოტანა, თუ რამ განაპირობა რწმენის ერთიანობაში მოძღვრების ფორმათა მრავალფეროვნება; • დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი – განსხვავებული გარემოსა და სიტუაციის გაანალიზება და შეფასება რელევანტური მეთოდების გამოყენებით, მსგავს საკითხზე უკვე არსებული შეხედულებების შესწავლისა და ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება, გადაწყვეტილების დასაბუთებულად წარმოჩენა სხვადასხვა არგუმენტებით ისე, რომ წინასწარ ექნება გათვალისწინებული მოსალოდნელი მნიშვნელოვანი შეკითხვები; • ანალიზის, სინთეზის და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი – ლოგიკური მსჯელობის განვრცობა, კონკრეტული შემთხვევის ანალიზი, განზოგადება და დაკონკრეტება, გარკვეული აზრის ზოგად კონტექსტში განთავსება და მისი მთლიანთან მიმართების განსაზღვრა, კონკრეტული ანალიზის შედეგად ზოგადი დასკვნის გამოტანა, სინთეზური ერთიანობის ჩამოყალიბება; • პრობლემის დასმის, იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი – პრობლემური თემების სწორი დანახვა, გადასაწყვეტი საკითხების იდენტიფიცირება და რიგითობის დადგენა მსგავს საკითხზე უკვე არსებული შეხედულებების შესწავლისა და ანალიზის გათვალისწინებით. |
| <p>კომუნიკაციის უნარი</p> | <p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • თეოლოგიის სხვა მეცნიერებებთან ინტერდისციპლინარული არეალის განსაზღვრისა და ინტერდისციპლინარული კომუნიკაციის უნარი – თეოლოგიის საკითხებზე და მის ინტერდისციპლინარულ |

| | |
|---------------|--|
| | <p>არეალზე დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობა, რელევანტური ტერმინოლოგიის გამოყენებით, მოსაზრებს ჩამოყალიბება, დასაბუთება, არგუმენტების მოყვანა და სხვ.;</p> <ul style="list-style-type: none"> • ინტერრელიგიური კომუნიკაციის უნარი – რელიგიათმცოდნეობის საფუძველზე მიღებული ცოდნით სხვადასხვა რელიგიათა წარმომადგენლებთან კომუნიკაციის უნარი; • რელიგიით, რწმენითა და თეოლოგიით დაინტერესებული ადამიანებისათვის არათეოლოგიური ენით თეოლოგიური ცოდნის გადაცემისა და არათეოლოგიათვის თეოლოგიური შინაარსის გადაცემის უნარი – არასპეციალისტებისთვის რწმენის, ტრადიციისა და კულტურული ღირებულებების მნიშვნელობის ახსნა, პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებლად მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდება, საკითხების განმარტება და მსჯელობა, თეოლოგიური ტექსტების შინაარსის გადაცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე ზეპირი თუ წერილობითი ფორმით; • სამუშაო ჯგუფში კომუნიკაციის უნარი – სამუშაო გარემოში გუნდური მუშაობის პრინციპის, პიროვნული თვისებების, ქმედებების და მოტივაციის გააზრების საფუძველზე წარმატებული ინტერპერსონალური კომუნიკაცია ჯგუფის წევრებთან; • საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი – საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით შემოქმედებითი შრომის პროცესის გამარტივება, ინფორმაციის მგადაცემა, მოძიება, დამუშავება და შედეგის მიღწევა დროის და რესურსების ნაკლები ხარჯვის პირობებში; • უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი – წერილი თუ ზეპირი ფორმით ინგლისურენოვან პარტნიორებთან, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია, დისკუსიაში მონაწილეობა და სპეციალური ლიტერატურიდან საჭირო ტექსტების ციტირება, გადაცემა და განმარტება, მოსაზრებების ჩამოყალიბება და წარდგენა. |
| სწავლის უნარი | <p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ღვთისმეტყველების პირველად და მეორად წყაროთა გამოყენების საფუძველზე ცოდნის შემდგომი გაღრმავების უნარი – თეოლოგიური შემეცნების პირველად და მეორად წყაროთა, მათი კლასიფიკაციისა და გამოყენების ფორმების ცოდნის მრავალმხრივად შეფასებით სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენა, პრიორიტეტების განსაზღვრა და ცოდნის შემდგომი გაღრმავება; • თეოლოგიური ჰერმენევტიკის ცოდნის საფუძველზე შემდგომში შესასწავლი საკითხების განსაზღვრის უნარი –შემეცნების შემდგომი საფეხურის გააზრება და ბიბლიურ, სისტემატურ და პრაქტიკულ თეოლოგიაში იმ ასპექტების განსაზღვრა, რომლის შესწავლა შესაძლებელია ზოგადი ჰერმენევტიკული პრინციპების, თეოლოგიურ შემეცნებაში რწმენის კრედოსა და მეცნიერული კვლევის მნიშვნელობის გაცნობიერებისა და მიღებული ცოდნის საფუძველზე; |

| | |
|---------------------|---|
| | <ul style="list-style-type: none"> • ცოდმის გაღრმავების უნარი – დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით ინფორმაციის პირველადი და მეორადი წყაროების განსაზღვრა, ინფორმაციის მოძიების მიზნით სხვადასხვა რესურსების (საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, დარგობრივი და სპეციალური ლიტერატურის და სხვ.) გამოყენება, სხვადასხვა ალტერნატიული წყაროდან საჭირო ინფორმაციის მოძიება, დაგროვება, სისტემატიზაცია და ერთიანობაში მოყვანა, შესწავლა–შეპირისპირება და ანალიზი, განსახილველი თემისა თუ საკითხისადმი მეთოდური მიდგომა, უცხო საკითხების მინიმალური დახმარებით დამუშავება; • შემდგომი სწავლისა და კომპეტენციების სრულყოფის საჭიროების დადგენის უნარი – უწყვეტი განათლებისა და თვითგანვითარების აუცილებლობის გაცნობიერება, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. |
| <p>ღირებულებები</p> | <p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მორალური თეოლოგიის საკითხთა აქტუალობის გაცნობიერებით ქრისტიანულ ღირებულებათა სასარგებლოდ დასამოწმებლად მზაობა – ქრისტიანული ღირებულებების გათავისება და მათ მიმართ ერთგული დამოკიდებულება, პიროვნების ღირსების დაცვა, სიცოცხლის უფლების გაცნობიერება და მისი დაცვის ხელშეწყობა, მოყვასისადმი მსახურება, სხვისი თავისუფლების აღიარება და სოლიდარობა ჩაგრულთადმი; • მსოფლიოს უძველესი და შემდგომი კულტურების შესწავლაზე დაფუძნებული სულიერი ღირებულებების გაცნობიერება; • პროფესიონალიზმისაკენ სწრაფვა და ჰუმანური ღირებულებებისადმი ერთგულება – პროფესიონალიზმის მნიშვნელობის გაცნობიერება და გათავისება, საკუთარ ცხოვრებაში ისეთი ჰუმანური ღირებულებებისადმი ერთგულება, როგორცაა თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა, სიკეთისაკენ სწრაფვა, დემოკრატიისა და დემოკრატიული ცნობიერებისათვის ხელშეწყობა; • პიროვნული მოკრძალების, თავშეკავების და თვითშეფასების უნარი – რეალობის კრიტიკულ-კონსტრუქციული შეფასება და ამასთანავე საკუთარი თავისა და შესაძლებლობების გააზრება, დაშვებული შეცდომების აღმოჩენა, კრიტიკული თვითშეფასება და აღიარება, სხვების მიმართ მოკრძალებული და თავდაჭერილი დამოკიდებულება, სხვისი ღირსების აღიარება და დაცვა; • ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის უნარი – ღირებულებათა იერარქიის განსაზღვრა და სწორი არჩევანის გაკეთება ამ იერარქიის მიხედვით, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა; |

- განსხვავებული ღირებულებების ჰუმანური შეფასების და პატივისცემის უნარი – პიროვნებათაშორის ურთიერთობების და ეთიკური ასპექტების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების თავისებურებების, საზოგადოების წევრების განსხვავებული ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებების გააზრება და გათვალისწინება, მათი აღიარება და პატივისცემა.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, საგამომცემლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ან/და სხვ., სადაც მოითხოვება/საკმარისია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის თეოლოგიაში აკადემიური ხარისხი. ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: მენეჯმენტის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიების ადმინისტრაციულ, სამეურნეო, საინფორმაციო და სხვ. სამსახურებში, ფირმებსა და საწარმოებში; კულტურული ტურიზმის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართულ, ისე უცხოურ ტურისტულ კომპანიებში, სახელმწიფო და კომერციული სექტორის ტურისტულ ორგანიზაციებში, საკურორტო ობიექტებზე ან/და სხვ.

საკონტაქტო პირი: ვაჟა ვარდიძე ტელ: 599765146; e-mail: v.vardidze@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები (International Relations)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი (Bachelor of International Relations)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

ძირითადი სპეციალობის შესაბამისად: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები, საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებებისა და თეორიების, სტრუქტურისა და ინსტიტუტების, სისტემისა და სისტემაში მიმდინარე ინსტიტუციური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვ. პროცესების, დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების სფეროს ფართო თეორიული ცოდნა, საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული, სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტების, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თავისებურებების, თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკის ასპექტების და ახალ მსოფლიო მოდელში საქართველოს როლის გაცნობიერების, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციებისა და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მიმდინარე პროცესების თავისებურებების გათვალისწინების, სფეროს თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის, რელევანტური მეთოდების გამოყენებით სიტუაციების და ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზის, პრობლემების მიზეზების და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერების და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების, ქართულ და უცხოურ ენებზე (ინგლისურ ენის შემთხვევაში – დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით შეუფერხებლად ენის მატარებლბთან) წერითი და ვერბალური კომუნიკაციის და სხვ. უნარები, ექნება ჩამოყალიბებული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის და მათი დასამკვიდრებლად სწრაფვა, პიროვნული და პროფესიონალური განვითარების მოტივაცია, რის შედეგად პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში), პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი კომპეტენციების და შესაძლებლობების რეალიზაციას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და
გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს შემდეგი კომპლექსური საკითხების კრიტიკულ გააზრებას და გაცნობიერებას:

- საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და სტრუქტურის ძირითადი პრინციპები და თავისებურებები, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციები და მასთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხები, საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორიები და მათი მნიშვნელობა საერთაშორისო სისტემის ფორმირებისათვის;
- მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თავისებულებები, გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში;
- საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მიმდინარე ინსტიტუციური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვ. პროცესები და საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული, სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები;
- საერთაშორისო წესრიგის ფაქტორები, გლობალიზაციისა და უსაფრთხოების პრობლემები და მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების თავისებურებები;
- თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემა, საქართველოს საგარეო პილიტიკის საკვანძო საკითხები და ახალ მსოფლიო მოდელში საქართველოს როლი;
- საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო ხელშეკრულების დადებისა და განხორციელების ასპექტები, საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის, ეკონომიკური მეცნიერებების, პოლიტიკის ელემენტები, ტერმინოლოგია და ფსიქოლოგიის ცნებები;
- დიპლომატიური ეტიკეტის სპეციფიკა, საქმიანი ურთიერთობების, პროტოკოლის და ეტიკეტის როლი და გამოყენების წესი.

ცოდნის პრაქტიკაში
გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- წინასწარ მიღებული მითითებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით საგარეო პოლიტიკური და დიპლომატიური პროექტების მომზადებაში და განხორციელებაში მონაწილეობა, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- პროფესიულ საქმიანობაში საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული, სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტების, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თავისებულებების გათვალისწინება და წარმოქმნილი პრობლემის გადასაჭრელად სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგირთი

| | |
|--------------------|---|
| | <p>გამორჩეული მეთოდების შერჩევა და გამოყენება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და მოქმედება კონკრეტული სიტუაციის სპეციფიკისა და განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით;</p> <ul style="list-style-type: none"> • წინასწარ მიღებული მითითებების შესაბამისად დიპლომატიური შინაარსის დოკუმენტების (წერილის, ნოტის, პროექტის, ხელშეკრულების, და ა.შ.) შედგენა, სამუშაოს შესრულებისას სფეროს თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმა, რელევანტური წყაროების შერჩევა, მონაცემების/ინფორმაციის სანდოობის შემოწმება, დამუშავება და გამოყენება. |
| დასკვნის უნარი | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სხვადასხვა წყაროებიდან თეორიული თუ ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიება-შეგროვება, მონაცემების დაჯგუფება და კლასიფიცირება, სიტუაციების/ინფორმაციის შესწავლა და შეფასება, სხვადასხვა ქვეყნების ბუნებრივ-რესურსული, ადამიანური და ეკონომიკური პოტენციალის, გლობალური პრობლემების გადაჭრაში საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გააზრება, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის ანალიზი, შედეგების განმარტება და ინტერპრეტაცია, დაკონკრეტება და განზოგადება, დასაბუთებული დასკვნისა და სარეკომენდაციო წინადადებების შემუშავება; • საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, მოვლენების და კონკრეტული ფაქტების მიზეზ-შეშედეგობრივი კავშირის დადგენა, პრობლემის იდენტიფიცირება და შესაძლო შედეგების პროგნოზირება და შეფასება, ინფორმაციის/მასალების დამუშავება და ანალიზი, სწორი დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, წარმოქმნილი სიტუაციის, საკუთარი თავის და სხვების პიროვნული და ინტელექტუალური პოტენციალის, პიროვნული თვისებების, ქმედებების და მათი გამომწვევი მიზეზების ადეკვატური შეფასება, ანალიზი, თვითკრიტიკა, სხვისი მოსაზრებებისა ობიექტური შეფასება, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, ქცევითი სტრატეგიის ჩამოყალიბება და ადეკვატური მოქმედება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა. |
| კომუნიკაციის უნარი | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქართულ და ინგლისურ ენებზე, მათ შორის – სპეციფიური ლექსიკისა და ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით, წერილობითი და ზეპირი ფორმით დაინტერესებული პირებისათვის (სპეციალისტებისთვის და არასპეციალისტებისთვის) ინფორმაციის მიწოდება, პრობლემის აღწერა და მისი გადაჭრის გზების შესახებ მოსაზრებების და არგუმენტების ლოგიკურად კონსტრუირება, დასაბუთება, არასპეციალისტებისათვის სფეროს საკითხების განმარტება, სპეციალისტებთან კომუნიკაციისას – არგუმენტირებული დიალოგის და დისკუსიის წარმართვა; |

| | |
|---------------|---|
| | <ul style="list-style-type: none"> • დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით ქართულ და ინგლისურ ენებზე მოლაპარაკებში მონაწილეობა და საქმიანი ურთიერთობების განხორციელება (საქმიანი მიმოწერა, კომენტარების და ანგარიშების შედგენა, ელექტრონული კომუნიკაცია და სხვ.); • უცხოურ (ინგლისურ და გერმანულ/რუსულ) ენებზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია, ინგლისურ ენაზე - ენის მატარებლებთან შეუფერხებელი საუბარი და მიმოწერა, მათ შორის დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით; • სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან თუ პიროვნებებთან ურთიერთობის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება და მულტიკულტურულ საზოგადოებაში ადაპტირება, რთული, კრიზისული სიტუაციების დამლევის ადეკვატური მეთოდების გამოყენებით ადამიანთა ინტერესების ფორმირების ძირითადი საფუძვლების გათალისწინებით პიროვნებათაშორის და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან ფსიქოლოგიური კონფლიქტების მოგვარება და კომუნიკაციის დამყარება; • თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება: გლობალური კომპიუტერული ქსელების გამოყენებით მასალების მოძიება, რელევანტური კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით ინფორმაციის დამუშავება, ანგარიშების და პრეზენტაციების მომზადება და სხვ., ელექტრონულ დოკუმენტებთან, ცხრილებთან და ა.შ. მუშაობა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების, პრობლემის და კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისა და კომუნიკაციის დამყარების მიზნით. |
| სწავლის უნარი | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიღწეული კომპეტენციების ობიექტური თვითშეფასება, თვითგანვითარებისა და საკუთარი კომპეტენციების მუდმივი სრულყოფის აუცილებლობის გაცნობიერება; • მიღწეული პროფესიული კომპეტენციების სრულყოფის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საინფორმაციო წყაროების, საცნობარო (ენციკლოპედიების, ლექსიკონების, ცნობარების, საძიებლებების, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების, მონაცემთა ბაზების და სხვ.) და სპეციალური დარგობრივი ლიტერატურის გამოყენებით ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება-გაცნობა და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით დამუშავება, ცოდნის განახლება მეცნიერების და პრაქტიკის სფეროში არსებული სიახლეებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გზით; • სწრაფად განახლებადი ინფორმაციის პირობებში ცოდნის და მიღწეული უნარების მუდმივი სრულყოფისა და მიღებულ ცოდნასთან ახლის ინტეგრირების აუცილებლობის გაცნობიერება, პრიორიტეტების შესაბამისად დროის დაგეგმვა და გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, მუდმივი განვითარების მზაობა და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა. |

| | |
|---------------------|---|
| <p>ღირებულებები</p> | <p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინების, საზოგადოებრივი ცხოვრებაში პიროვნების როლის, მულტიკულტურული საზოგადოების თავისებურებების გაცნობიერების, სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების მიღმა არსებული საზოგადოებრივი ინტერესებისა და ღირებულებების იდენტიფიცირების და გათვალისწინების, პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ასპექტების, თანამედროვე საზოგადოების განსხვავებული სოციალური, ეროვნული, რელიგიური და სხვ. ერთობებისა და ჯგუფების ღირებულებით-მსოფლმხედველობითი თავისებურებების გააზრების, ეთიკური პრობლემების ამოცნობისა და გაცნობიერების უნარი; • საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში დამკვიდრებული ეთიკური და მორალური ნორმების დაცვისა და მათ შესაბამისად ქცევის უნარი; • პროფესიული, ეთიკური, სოციალური ნორმების დაცვის, სამართლიანობის, კანონის უზენაესობის პრინციპის, ინდივიდთა უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემის, დაცვის და ღირებულებათა ფორმირების პროცესში მონაწილეობის უნარი, აქვს მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა და სოციალური პასუხისმგებლობა. |
|---------------------|---|

| | |
|--------------------------------------|--|
| <p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით</p> | <p>240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).</p> |
|--------------------------------------|--|

| | |
|---|--|
| <p>პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო</p> | |
| <p>კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, საერთაშორისო და ადგილობრივ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საელჩო/საკონსულოებში, საგარეო საქმეთა სამინისტროში და სხვ., სადაც</p> | |

მოითხოვება/საკმარისია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: ინტერკულტურული კომუნიკაციის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - კულტურის სამინისტროში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საგამომცემლო დაწესებულებებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში, სხვადასხვა მოკლე და გრძელვადიან პროექტებში და ა.შ.; მენეჯმენტის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიების ადმინისტრაციულ, სამეურნეო, საინფორმაციო და სხვ. სამსახურებში, ფირმებსა და საწარმოებში; კულტურული ტურიზმის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართულ, ისე უცხოურ ტურისტულ კომპანიებში, სახელმწიფო და კომერციული სექტორის ტურისტულ ორგანიზაციებში, საკურორტო ობიექტებზე ან/და სხვ; თეოლოგიის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, საგამომცემლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ან/და სხვა.

საკონტაქტო პირი: გვანცა აბდალაძე ტელ: 593900674; e-mail: gvantsa_ab@yahoo.com

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი (LAW)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა და სპეციალური მომზადება საჯარო, კერძო და/ან სისხლის სამართლის დარგებში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
- სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;
- სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

სწავლის შედეგები

| | |
|--|---|
| <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> | <ul style="list-style-type: none"> • აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სიღრმისეული ცოდნა, აგრეთვე საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის ცოდნა; • გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი, კომპლექსური საკითხები და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის; • კურსდამთავრებულმა იცის: განმარტების მეთოდები; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები; სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; ქონებრივი სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები. |
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება; • აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი; • შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა. |
| <p>დასკვნის უნარი</p> | <ul style="list-style-type: none"> • აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების, აგრეთვე სამართლებრივად დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი. |
| <p>კომუნიკაციის უნარი</p> | <ul style="list-style-type: none"> • აქვს მშობლიურ და B2-ის დონეზე (ხოლო სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩააბარა სხვა უცხოური ენა გარდა ინგლისური ენის B1-ის დონეზე) ინგლისურ ენაზე ინფორმაციის მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობით ფორმით გადაცემის უნარი; • აქვს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების და ქართულ და B2-ის დონეზე (ხოლო სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული |

| | |
|---------------|---|
| | <p>გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩააბარა სხვა უცხოური ენა გარდა ინგლისური ენის B1-ის დონეზე) ინგლისურ ენაზე ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> • აქვს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი. |
| სწავლის უნარი | <ul style="list-style-type: none"> • აქვს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის უნარი; • აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. |
| ღირებულებები | <ul style="list-style-type: none"> • იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. • აქვს ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი. |

| | |
|---|--|
| <p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით</p> | <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.</p> <p>სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p> |
|---|--|

| | |
|--|--|
| <p>პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო</p> | <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.</p> |
|--|--|

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებში ან სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.

საკონტაქტო პირი: დიმიტრი გეგენავა ტელ: 577233847; e-mail: d.gegenava@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (Bachelor of Business Administration)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამის მიზნები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია ევროპული ღირებულებების მქონე მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება საერთაშორისო ბაზარზე, რომელთაც ექნებათ როგორც მრავალმხრივი, ისე ბიზნესის მართვის სპეციალიზირებული ცოდნა და პრაქტიკული უნარები და შეძლებენ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას ეკონომიკის პრინციპების, მართვის მეცნიერების, თანამედროვე ტექნოლოგიების, ინგლისურისა და სხვა უცხო ენების, ფილოსოფიის, იურისპონდენციის, მათემატიკისა და სხვა დისციპლინის საზღვრების სიღმისეული გაცნობიერების გზით: და აქედან გამომდინარე,

- ბიზნესის სფეროში კრეატიული სამეწარმეო იდეების გენერირებას;
- ინოვაციური პროექტების განვითარებასა და დანერგვას;
- ბიზნეს პროცესების ადამინისტრირებას;
- დაგეგმვის, ორგანიზებისა და კონტროლის განხორციელების პროცესში ლიდერული უნარების წარმოჩენას;
- ადამიანებთან სწორ კომუნიკაციასა და რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას;
- მაქსიმალური ეკონომიკური თუ სოციალური სარგებლის ფორმირების საკითხებთან დაკავშირებული კომპლექსური ამოცანების გადაჭრას როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივ სექტორში

მიზნიდან გამომდინარე პროგრამის ამოცანებია:

- ახლებურად გააზრებული შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და მომვალში ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით, საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის ფუნდამენტალური და სიღმისეული ცოდნის მიცემა მართვის ხელოვნების, ეკონომიკის, ტექნიკური და ფილოსოფიის მეცნიერებების მიმართულებით;

- შესაბამისი უნარების განვითარება, რომელთა მეშვეობითაც საბაკალვრო საფეხურის სტუდენტებმა უნდა შეძლონ სხვადასხვა დისციპლინათა კომპონენტების ურთიერთდაკავშირების გზით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, დასკვნების ჩამოყალიბება, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაცია ქართულ, ინგლისურ და სხვა უცხო ენებზე, შემდგომი სწავლების საჭიროებების გაცნობიერება და ღირებულებათა ფორმირების პროცესში მონაწილეობა;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან უწყვეტი პარტნიორული თანამშრომლობის გზით კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა;
- სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებთან და მათ შორის მსოფლიოს რეიტინგულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გზით ერთობლივი სასწავლო კურსების ან მისი ცაკლეული კომპონენტების დანერგვა და შესაბამისი მობილურობის ხელშეწყობა როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან. კერძოდ, პროგრამა უზრუნველყოფს თავისუფლების ღირებულებით გამსჭვალული, სამოქალაქო აზროვნების მქონე პროფესიონლების აღზრდას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს თვისობრივად ახალი, ინოვაციური ბიზნესების გაჩენასა და განვითარებას, ტექნოლოგიური პროგრესისა და მთლიანობაში ეკონომიკის განვითარების დაჩქარების პროცესს.

სწავლის შედეგები

| | |
|-----------------------|--|
| ცოდნა და გაცნობიერება | <p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მენეჯმენტის ფუნქციების და მენეჯერული გადაწყვეტილებების ეთიკური პრინციპების, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მეთოდების, საოპერაციო, ფუნქციონალურ და სტრატეგიულ დონეზე დაგეგმვის განხორციელების მეთოდების, გლობალურ და ტურბულენტურ გარემოში მართვის თავისებურებების, შეზღუდული რესურსების პირობებში რაციონალური გადაწყვეტილების მიღების ტექნიკის, ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების თავისებურებების, ორგანიზაციული კონტროლის პროცესის, კომუნიკაციის მნიშვნელობისა და ურთიერთობათა აგების ხელოვნებისა და ორგანიზაციული გარემოს შეფასების მეთოდების სიღრმისეული ცოდნა • მარკეტინგსა და მარკეტინგის როლის მნიშვნელობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოციალური, სამართლებრივი, ეთიკური და ტექნოლოგიური ძალების შეფასების მეთოდების, მარკეტინგული კომპლექსის შემუშავების, მომხმარებლებთან მომგებიანი ურთიერთობების მართვის, |
|-----------------------|--|

| | |
|-------------------------------------|--|
| | <p>ინტეგრირებული მარკეტინგული სისტემების, მარკეტინგული არხების, საქონლისა და მომსახურების სტიმულირებისა და სხვ. სიღმისეული ცოდნა.</p> <ul style="list-style-type: none"> • ფინანსური ანგარიშგების ძირითადი პრინციპების, თანამედროვე საბუღალტრო სტანდარტების და მათ შორის ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვის ფუნდამენტალური თეორიებისა და ფინანსების მართვის სიღმისეული ცოდნა. • ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში გამოყენებადი მათემატიკური თეორიების, რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების, სტატისტიკურ-ალბათური მოდელების სიღმისეული ცოდნა და გაცნობიერებული პრაქტიკაში მათი გამოყენების მნიშვნელობა • ბიზნესის მართვის და ორგანიზაციული მენეჯმენტის სფეროში გამოყენებადი ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ასპექტების, საკადრო და ლიდერული პოტენციალის გამოვლენა-შეფასება-განვითარების, ორგანიზაციული კულტურის, ორგანიზაციული ქცევის და გუნდების მართვის საბაზისო მეთოდების ცოდნა და გაცნობიერებული მათი პრაქტიკაში გამოყენების მნიშვნელობა • ეკონომიკის პრინციპების, ბაზრის ფუნქციონირების, საბაზრო სტრუქტურების; ხარჯი-სარგებლის ანალიზის მეთოდების, საბაზრო ჩავარდნების, სახელმწიფო პოლიტიკის შედეგების, მათ შორის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების სიღმისეული ცოდნა. • გააზრებული ბიზნეს-საქმიანობის განხორციელებისა და მენეჯმენტის ეკონომიკური, საორგანიზაციო-ადმინისტრაციული, სტრატეგიული, ინოვაციური, საფინანსო, საერთაშორისო, სოციალურ-ფსიქოლოგიური, კულტურული და ეთიკური ასპექტები და მენეჯმენტის დარგების მონათესავე დარგებთან კავშირურთიერთობების არსი და მნიშვნელობა. ასევე, გაცნობიერებული ბიზნეს-ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა მართვის კომპლექსური საკითხები. |
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება</p> | <p>კურსდამთავრებული შეძლებს</p> <ul style="list-style-type: none"> • სათანადო ინტეგრირებული მეთოდების გამოყენებას კორპორაციებში არსებული პრობლემებისა და მიზეზების გამოსავლენად, რომელსაც იწვევს აღნიშნული პრობლემა; აღნიშნული მეთოდების გამოყენებას სხვადასხვა პრობლემების გადასაწყვეტად და სტრატეგიულ აზროვნებას პროექტების, ტურბულენტური სიტუაციების თუ სხვადასხვა ბიზნეს-ერთეულების დაგეგმვისას. სტრატეგიის დანერგვას, მათ შორის რთული სიტუაციების მართვასა და საჭიროების შემთხვევაში, არსებული გეგმების მოდიფიკაციას. მოლაპარაკებების მომზადებასა და წარმართვას; დავების გადასაწყვეტად სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას. ადამიანური რესურსების მართვის პრინციპებისა და შესამაბისი სამართლებრივი ნორმების ცოდნის გამოყენებას დასაქმებულთა რეკრუტირებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით; სამუშაოს აღწერასა და შესრულებული სამუშაოს მწარმოებლობის შეფასებას, ადეკვატური საკომპენსაციო |

სისტემის ჩამოყალიბებას, პროფესიული ცოდნის კარიერული განვითარებისთვის გამოყენებას; რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული ინიციატივებისა და პრობლემების გადასაჭრელად; შედეგზე ორიენტირებული კარგად განვითარებული მენეჯერული უნარების გამოყენებას. ახალი პროექტების ინიცირებას, შემუშავებასა და განხორციელებას. ბიუჯეტის დაგეგმვას. შედეგზე ორიენტირებული ჯგუფების ხელშეწყობასა და ხელმძღვანელობას; სხვადასხვა ვირტუალური ჯგუფების მართვას. ერთიანი ხედვის, მისიისა და ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებასა და ერთიანი ენერჯის მიმართვას მიზნების მისაღწევად; ორგანიზაციული ცვლილებების მართვასა და კომუნიკაციას; ცვლილებებთან დაკავშირებული წინააღმდეგობების დაძლევას.

- ფასის, ადგილისა და სტიმულირების მიზნების გათვალისწინებით, მარკეტინგული გეგმის შემუშავებას. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის შექმნას, რაც მოიცავს სტიმულირების სტრატეგიებსა და მწარმოებლურობის გაზომვის მაჩვენებლებს. გაყიდვების გეგმის დეტალურად ჩამოყალიბებასა და მის პროფესიულ წრეში პრეზენტირებას. მარკეტინგული სტრატეგიის ფორმულირებას, რომელშიც ინკორპორირებული იქნება ის ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს მომხმარებელზე. ფირმის მარკეტინგული შიდა და გარე გარემოს გამოვლენასა და სავარაუდო შესაძლებლობების გამოყენებას, ხოლო საფრთხეებზე რეაგირებას. ორგანიზაციისთვის ყოვლისმომცველი ინტეგრირებული სტრატეგიებისა და ტაქტიკის ფორმირებას. როგორც დამოუკიდებლად, ისე სამუშაო ჯგუფში მუშაობას მრავალდისციპლინურ და მრავალფეროვან გარემოში. შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ და მის ეფექტურ გამოყენებას ზეგავლენის მოხდენის, კომუნიკაციის ან/და კონსულტაციის გზით. ლიდერობაზე ორიენტირებული სტრატეგიების შემუშავებასა და პერსონალურ და პროფესიულ განვითარებას.
- ორგანიზაციებისთვის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებასა და ფინანსური ანგარიშების მომზადებას. როგორც შესყიდვის, ასევე საკუთარი რესურსებით მშენებლობის შემთხვევაში კაპიტალურ აქტივებზე რელევანტური ხარჯების გამოვლენასა და შეფასებასა. ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის მეთოდების გამოყენებას. დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით საინვესტიციო პროექტების გაანგარიშებასა და ფასიან ქაღალდებზე რეალური ფასის დადგენას. აქციებისთვის სხვადასხვა კატეგორიების მინიჭებასა და კატეგორიების მიხედვით მათზე შესაბამისი ანგარიშების მომზადებას. მომავალში დასაბეგრი და დასაბეგრ ბაზას გამოკლებული ფინანსური ნაკადების გაანგარიშებასა და ფინანსურ ანგარიშებზე მათი გავლენის დადგენას. არსებულ ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით სათანადო ფინანსური სტრატეგიის შემუშავებას. ხარჯი-სარგებლის ანალიზის განხორციელებას როგორც კერძო, ისე საჯარო ორგანიზაციებისთვის.

| | |
|----------------|--|
| | <ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური არგუმენტების გამოყენებას თანამედროვე ეკონომიკური პრობლემების გასაანალიზებლად. სხვადასხვა ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტასა და მზარდი გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებზე მსჯელობას. ორგანიზაციის მაქსიმალური მოგების სტრატეგიის შემუშავებას სხვადასხვა საბაზრო სტრუქტურებისთვის. შეზღუდული რესურსების გონივრულ გამოყენებას. სხვადასხვა მულტიპლიკატორების გამოთვლასა და გამოყენებას, ნომინალური მაჩვენებლების რეალურ მაჩვენებლებში გარდაქმნასა და სხვადასხვა ცხრილების, დიაგრამებისა და გრაფიკების გამოყენებას იმის ასახსნელად, თუ რა გავლენას ახდენს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ცვლილება მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ეკონომიკის სფეროში მიღებული ცოდნის გამოყენებას ორგანიზაციებში საოპერაციო, ფუნქციონალურ და სტრატეგიულ დონეზე გამოვლენილი პრობლემების საპასუხოდ. • ორგანიზაციული კონფლიქტების წარმოშობის მიზეზების გამოვლენასა და მათი გადაჭრისთვის შესაფერისი მეთოდების შემუშავებასა და გამოყენებას. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვას. თანამშრომელთა ხელმძღვანელობას. • საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას პროფესიული საქმიანობების განსახორციელებლად. |
| დასკვნის უნარი | <p>კუსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • კულტურული, სოციალური, ეთიკური და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული საკითხების შეფასებას. შესაბამისი რესურსების გამოყენებასა და შერჩევას, რომელიც საჭიროა აუცილებელი მონაცემების შესაგროვებლად, რომელიც ტრანსფორმირდება იმ ძირითად ინფორმაციაში, რაც გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება. ინფორმაციული მართვის სისტემებისა და მეთოდების შერჩევასა და ინფორმაციის შეფასებას. • ორგანიზაციულ შესაძლებლობებთან, ცვლილებებთან და საფრთხეებთან დაკავშირებული პრობლემების გაანალიზებას, შეფასებასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას. • ფინანსურ აღრიცხვასთან დაკავშირებული მონაცემების კრიტიკულ გააზრებასა და შესაბამისი არგუმენტაციის მომზადებას. საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური ანგარიშების გაანალიზებას. ფინანსური აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდების შეფასებასა და შედარებითი ანალიზის წარმოებას. ფინანსური მაჩვენებლების გამოყენებით ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის შეფასებას. ბიზნეს-პროცესების გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. სხვადასხვა ჭრილში ხარჯებისა და შემოსავლების გაანალიზებას, ურთიერთშედარებასა და სწორის გადაწყვეტილების შემუშავებას. • მოთხოვნისა და მიწოდების მექანიზმის გაანალიზებასა და ეკონომიკური მოვლენების სხვადასხვა ბაზრებზე გავლენის დადგენას. მომხმარებელთა ქცევის გაანალიზებას საქონელსა და მომსახურებაზე |

| | |
|---------------------------|--|
| | <p>მოთხოვნის ფორმირების მიმართულებით. ფირმის ქცევაზე მოქმედი ფაქტორების შეფასებასა და სხვადასხვა საბაზრო სტრუქტურების პირობებში ფირმების მწარმოებლურობის დონის გაანალიზებას. სტატისტიკის, ეკონომიკისა და მათემატიკის ინტეგრირებული კონცეფციების გამოყენებით ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას.</p> <ul style="list-style-type: none"> • მაკროეკონომიკურ კონტექსტში სახელმწიფოს როლის შეფასებას ეკონომიკაში. სხვადასხვა პოლიტიკისა და პოლიტიკის შედეგების გაანალიზებასა და შეფასებას ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით. |
| <p>კომუნიკაციის უნარი</p> | <p>კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სხვებთან ერთად ეფექტურად მუშაობას, სხვადასხვა გამოცდილების, უნარებისა და აზრის მქონე ადამიანებთან ურთიერთობას; • ეფექტური საკომუნიკაციო უნარების გამოყენებას პატივისცემის, ნდობისა და ურთიერთკავშირის გასამდიერებლად; • მოსმენის კულტურის შექმნას და ამის დახმარებით რთულ სიტუაციებში გარკვევას • პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული (მაგ., მარკეტინგი, ფინანსები, მენეჯმენტი და სხვ.) პროგრამული პაკეტების გამოყენებას და ინფორმაციის ეფექტიან გადმოცემას ინგლისურ და სხვა ენებზე • სრულყოფილი ბიზნეს-დოკუმენტების შედგენასა და პროფესიული პრეზენტაციის გაკეთებას • სხვადასხვა ბიზნეს-სიტუაციებში სტრატეგიულ კომუნიკაციას; • საკმარისი კომუნიკაბელურობის დონის გამოვლენას ორგანიზაციული ცვლილებების წარმატებულად მართვისა და მენეჯერულ თანამდებობებზე საკუთარი პროფესიული კარიერის შექმნის მიზნით |
| <p>სწავლის უნარი</p> | <p>კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მათემატიკის, ბიზნესის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, ეკონომიკის, ფილოსოფიისა და სხვა დისციპლინების კრიტიკულ გააზრებასა და იმის გაცნობიერებას, რომ საჭიროა მიღებული ცოდნის მუდმივი განახლება. უფრო მეტად მოტივირებული, შესაბამის დისციპლინებში ცოდნის გაღრმავებას პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის საჭიროებებიდან გამომდინარე; • იმ უნარების გამოკვეთას, რომელიც საჭიროა პროფესიული განვითარებისთვის და შესაბამისად, პერმანენტულად თანამედროვე პუბლიკაციებისა და კვლევების გაცნობას. • მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, პროფესიული ინტერესების გამოკვეთას, ცოდნის სრულყოფის საჭიროებების იდენტიფიცირებას, ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული კომპეტენციების სრულყოფის მიმართულებათა შერჩევასა და შესაბამისად, სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში), სხვადასხვა სასერტიფიკატო/სატრენინგო კურსებზე და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებზე. |

| | |
|---------------------|---|
| <p>ღირებულებები</p> | <p>კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ევროპული ღირებულებების გაცნობიერებას, პატივისცემასა და გაზიარებას; • სიმართლის, სიცრუის, კარგისა და ცუდის გარჩევას; ზნეობრივი პრინციპებით ცხოვრებასა და მათ გაზიარებას; • ეკონომიკური თავისუფლებისა და საკუთრების უფლებების ღირებულებების გაზიარებას • ღირებულებათა ფორმირებისა და მათი დამკვიდრების პროცესში აქტიურ მონაწილეობას |
|---------------------|---|

| | |
|---|--|
| <p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით</p> | <p>240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).</p> |
|---|--|

| | |
|--|--|
| <p>პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო</p> | |
| <p>სწავლის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს გააჩნია შესაბამისი სამეწარმეო ცოდნა და უნარები, რომ მოიპოვოს საჭირო კაპიტალი, შეაგროვოს ინოვაციური იდეები, ჩამოაყალიბოს ადეკვატური ბიზნეს-პროექტი, წამოიწყოს ბიზნეს-საქმიანობა, უზრუნველყოს ბიზნესის მდგრადი გაფართოება, გაიტანოს ბიზნესი საერთაშორისო ბაზარზე და ახალი სერვისების განვითარების გზით შექმნას ახალი ბრენდები და გაზარდოს პროდუქციის ცნობადობის დონე მსოფლიო მასშტაბით. ასევე, კურსდამთავრებულს გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, რომ სრულად დააკმაყოფილოს როგორც ბიზნესში, ისე სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივი სექტორში მიმდინარე პროცესების მართვასთან დაკავშირებული ვაკანსიების მოთხოვნები. კერძოდ, უნაკლოდ შეძლოს ორგანიზაციის: ფინანსური აღრიცხვა და სხვა ფინანსური მომსახურება; ლოჯისტიკა და შესყიდვების ორგანიზება; მარკეტინგული მომსახურება და პიარი; სტრატეგიული დაგეგმვა და მართვა; საკადრო პოლიტიკის შემუშავება და წარმართვა; საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ოპერაციების მართვა; კაპიტალის ბაზარზე ფინანსური შუამავლობა; კონფლიქტების მართვა; ეკონომიკის განვითარების მიმართულებით საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა და ინოვაციური იდეების შემუშავება; კერძოდ</p> | |

და სახელმწიფო სექტორში ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობა; გლობალური მოვლენებისა და მაკროეკონომიკური ინდიკატორების გაანალიზების გზით სხვადასხვა მოვლენათა პროგნოზირება და სხვ. ასევე შეუძლია საკუთარი სწავლის მრავალმხრივი შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებებზე ზრუნვა და ღირებულებათა ფორმირების პროცესში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით, კურსდამთავრებული იპოვის სამუშაოს მენეჯმენტის დაბალი და საშუალო იერარქიის საფეხურზე. შესაბამისად, მონაწილეობას მიიღებს დაგეგმვის, ორგანიზების, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადებისა პროცესებში; მოამზადებს ადმინისტრაციულ-ნორმატიული დოკუმენტების პროექტებს; ეფექტიანად წარმართავს და/ან მონაწილეობას მიიღებს ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებაში, კომპანიის სტრატეგიული გეგმებისა და ინოვაციური პროექტების შემუშავებასა და მათ ადმინისტრირებაში.

საკონტაქტო პირი: აკაკი ცომაია ტელ: 577445051; e-mail: tsomaiaakaki@gmail.com

Education Program: Business Administration

Academic Degree: Bachelor of Business Administration

Higher Education Stage: First Stage, Bachelor program

Language: English

Description of the Program

Admission Requirements

For Georgian students

- Based on the results of Unified National Examinations (with 51% or better score in English) candidates who will obtain the status of student of Sulkhan-Saba Orbeliani Teaching University according to the law of Georgia

For Foreign Citizens and Georgian Citizens (leaving secondary (high) school in foreign country)

- Secondary (high) school leaving certificate, equivalent to Georgian education system
- Candidates must pass English-language proficiency examination (B1 level is required) at Sulkhan-Saba Orbeliani Teaching University or provide B1 level English-language proficiency certificate

Structure of the Program

On the one hand, program is oriented on providing theoretical knowledge, basic concepts and principles, and research skills. Offered courses enable students: a) to increase awareness of fundamental sciences of business, management, marketing, finance and art and apply knowledge in practice; b) to investigate peer-reviewed publications in English and other languages; c) gain experience in data collecting, analyzing and interpreting; d) based on contingency analysis, to formulate, assess and select right alternatives. e) to acquire skills of dealing with documents and statistical data; and f) actively participate in student conferences. On the other hand, program focuses on giving students professional and practical skills that will help them to find appropriate jobs.

Program encompasses 3 modules: General module, business administration module and specialization module. General Module consists of multidisciplinary compulsory and elective courses the goal of which is to increase students' awareness of understanding basic principles of fundamental sciences. Students start to follow inductive and deductive way of thinking, as well as they acquire conceptual human and analytical skills directing them to keen on continuous learning. The goal of the Business Administration Module is to enable students understand the uniqueness of the rationality problem of managing society's scarce resources effectively and efficiently. On successful completion of the module students should generate relevant skills enabling them to carry out business activities worldwide. The module is composed of compulsory and elective courses. Specialization module consists of two parts: Finance, and Management & Marketing. The goal of the Finance Component is to enlighten students in the finance-related fields such as financial accounting, managerial accounting, financial management and etc. Consequently students should gain fundamental knowledge in finance and be able to manage corporate finances as well as to perform relevant finance-related activities The goal of the Management & Marketing component is to provide students with in-depth understanding of management and marketing sciences based on which students acquire necessary skills enabling them a) to plan, organize, lead and control processes in turbulent environment on strategic, functional and operational levels; b) to implement and execute marketing strategy and operational plans. Module consists of compulsory and elective courses.

As a whole, the program is well structured. Narrative, design, preconditions and other components of the program meet learning outcomes.

Goal of the Program

The goal of the program is to prepare high professionals in the field of business administration to successfully: a) carry out business, administrative and research activities and b) share and disseminate European values (e.g. human rights, democracy, rule of law, property rights, economic freedom and etc) in Georgia and worldwide. Having got strong understanding of calculus, statistics, economics, management, marketing, finance, modern technologies, philosophy, psychology, and law, students will obtain theoretical knowledge, and practical skills in business administration. Particularly students and graduates should be able to:

- develop creative ideas and undertake entrepreneurial activities;
- elaborate and implement innovative projects;
- administrate business-processes;
- induce leading skills through managing business processes;
- demonstrate rational decision-making and sound communication skills;
- Deal with complexity problems such as economic or social profit/maximization issues both in private and public enterprises

Program Objectives:

- To offer the best business administration courses that will give students the needed intellectual and behavioral skills and abilities to advance their career and reach their personal goals.

- Through collaboration with potential employers care for the graduate's job opportunities;
- Through collaboration with different Academic Institutions develop joint degree programs and facilitate to mobility of academic personnel and students.

Learning Outcomes

Knowledge and Understanding

omprehensive and/or specialized theoretical and practical knowledge of the field of study; understanding of the possibilities (scope) of professional activities

By the end of the of the program student will have in-depth knowledge of:

- The framework and key functions in management the ethical issues in management decision areas; How to undertake qualitative and quantitative research and apply this knowledge in the context of a major independent work; Create awareness of the use of operating plans, policies, procedures and rules; Management by Objectives, and global business and diversity
- Marketing and the role of marketing in business and society; Social, legal, ethical and technological forces on marketing decision-making.
- Concepts and procedures of financial reporting, including income statement, statement of retained earnings, balance sheet, and statement of cash flows; Accounting records and financial statements from source documents in accordance with Generally Accepted Accounting Standards; accounting for assets, liabilities and owner's equity; Asset impairment; Accounting for loss contingency, treasury stock, convertible securities

| | |
|--------------------|--|
| | <ul style="list-style-type: none"> • Economic terms and terminology; human action and behavior; how firms make decisions; market forces; market structures; tradeoff idea and benefits of trade; why market fails; the consequences of different government policies; how fiscal policy operates, its tools, and its advantages and drawbacks |
| Applying Knowledge | <p>Ability to use a wide range of cognitive and practical skills for creative solution of abstract problems</p> <p>By the end of the of the program student will be able to</p> <ul style="list-style-type: none"> • Use appropriate integrative frameworks to identify company-wide problems and discern between their causes and symptoms; use those frameworks to create solutions to problems and think through their strategic implications including projects, contingency plans and the creation of business unit plans. Enact strategy, including management of contingencies, emergent strategies and other modifications to existing plans. Prepare and execute negotiations; use various processes and tools for bargaining, negotiating and resolving disputes. Apply human resource principles and law to effectively recruit, select, train and retain employees; conduct job analyses and apply performance appraisal, compensation, career training and development tools; use quantitative and qualitative research methods to evaluate human resource initiatives and solve problems; have well-developed performance management skills. Identify, plan, budget and initiate projects and monitor project performance. Lead, facilitate and contribute to effective work groups and teams; manage dispersed work groups (virtual teams). Create a shared vision and mobilize energy toward goal achievement; manage organizational change and communication; overcome resistance to change • Develop marketing strategies based on product, price, place and promotion objectives. Create an integrated marketing communications plan which includes promotional strategies and measures of effectiveness. Construct written sales plans and a professional interactive oral sales presentation. Formulate marketing strategies that incorporate psychological and sociological factors which influence consumers. Utilise information of a firm's external and internal marketing environment to identify and prioritise appropriate marketing strategies. Develop comprehensive strategic and tactical plans for |

an organization. Work independently and collaboratively in inter and/or multi-disciplinary and diverse environments. Build effective internal and external relationships using influencing, communication and consultative skills. Develop self leadership strategies to enhance personal and professional effectiveness. Develop a professional sales solution for a product or service to a prospective business-buying customer using appropriate sales methodologies.

- Apply the processes of recognition, measurement and disclosure of accounting information in the preparation of general purpose financial statements. Identify and determine the costs to include in initial valuation of property, plant, and equipment, including self-constructed assets and those acquired through exchange. Apply the methods of bond discount and premium amortization, including effective interest method and straight-line method. Solve present value problems to determine, bond price, lease payment, pension obligation. Identify the categories of equity securities and describe the accounting and reporting treatment for each category. Describe temporary differences that results in future taxable and future deductible amounts and their treatment in the financial statements. Develop and design an appropriate financing strategy based on financial data. Conduct cost volume-profit analysis
- Apply economic reasoning to the analysis of selected contemporary economic problems. Use economic problem solving skills to discuss the opportunities and challenges of the increasing globalization of the world economy. Prepare firm's profit-maximization strategy in different market structures. Describe the nature of economics in dealing with the issue of scarcity. Calculate and use various multipliers, convert nominal values to real values, and use a graph to explain the impact of changes in fiscal and/or monetary policy on income and price level. Think about problems, issues and decisions that managers face in each of the functional areas of the organization as well as the strategic ones faced by general managers.
- Develop techniques that allow to understand situations that require constructive confrontation skills with the goal of resolving organizational conflicts. Manage conflicts and negotiations. Lead people

| | |
|-------------------------|--|
| | <p>within organizations. Manage organizational change. Develop, implement, and evaluate employee orientation, training, and development programs.</p> <ul style="list-style-type: none"> • Apply IT technologies skills to professional activities . |
| <p>Making Judgement</p> | <p>By the end of the program student should be able to:</p> <ul style="list-style-type: none"> • Identify and evaluate social, cultural, global, ethical and environmental responsibilities and issues. Select and use appropriate resources to collect business data that will ultimately translate into information for decision-making. Use the information management concepts, systems, and tools needed to obtain, evaluate, and disseminate information for use in making decisions. • Collect, process, and analyze consumer data to make informed decisions. Apply problem solving and decision making frameworks that propose defensible solutions to organizational opportunities, challenges, change and risk. Examine the role of consumers as purchasers and users of goods and services using various theories and models of consumer behavior • Critically analyse and interpret case information and be able to develop a convincing argument to present their views on relevant accounting issues. Analyze operating, investing, and financing transactions. Compare and evaluate various accounting methods of accrual accounting, capital expenditures, and financing. Measure the impacts of an accounting method on financial accounting numbers and financial ratios. Draw supportable conclusions. Analyze income statement effects for the specific assets and liabilities. Provide appropriate recommendations to improve business process. Define and illustrate various cost terms and concepts and evaluate their relevancy for different decision. • Perform supply and demand analysis to analyze the impact of economic events on markets. Analyze the behavior of consumers in terms of the demand for products. Evaluate the factors affecting firm behavior, such as production and costs analyze the performance of firms under different market |

| | |
|-----------------------------|--|
| | <p>structures. Make optimal business decisions by integrating the concepts of economics, mathematics and statistics.</p> <ul style="list-style-type: none"> • Assess the government's role in the economy in a macroeconomic context. Use economic analysis to evaluate controversial issues and policies. |
| <p>Communication Skills</p> | <p>By the end of the program student should be able to:</p> <ul style="list-style-type: none"> • Work effectively with others, capitalising on their different thinking, experience and skills; • Use effective communication skills to promote respect, trust and relationships; • Practice active listening to enhance the ability to get a clear understanding of difficult situations • Utilize information by applying a variety of business and industry standard software and hardware to major business functions (e.g., marketing, accounting, and human resource management) • Write concise business documents and deliver professional oral presentations • Communicate strategically in a variety of business situations; • Demonstrate the communication skills necessary to successfully manage organizational dynamics and create their own personal career management strategy |
| <p>Learning Skills</p> | <p>By the end of the program student should be able to:</p> <ul style="list-style-type: none"> • Critically assess existing understanding of mathematics, business, management, marketing, finance, economics, philosophy, and other disciplines and recognise the need to regularly challenge all knowledge. As a result become motivated to deepen knowledge of the relevant disciplines for purposes of professional development, career advancement, and other; |

| | |
|--------|--|
| | <ul style="list-style-type: none"> • highlight the skills required for successful, lifelong professional development and through getting familiar with modern publications and researches find strategies and methodologies that can assist in the acquisition of professional development skills. • engage in self-reflection and achieve greater self-understanding, exhibiting openness to alternative possibilities and conceptual frameworks • Manage own professional development and provide leadership to others in the achievement of ongoing competence in human resources professional practice. |
| Values | <p>By the end of the program student should be able to:</p> <ul style="list-style-type: none"> • be aware of European values, respect and share; • be aware of right, wrong, good and bad; share moral principles and their application in everyday life; • share a value of economic freedom and property rights • to participate in the formation of values and strive for their establishment |

Methods of Reaching Learning Outcomes

choice of teaching method depends on what fits educational philosophy of the program components components and courses, Teaching theories primarily fall into two categories or “approaches” — teacher-centered and student-centered. Based on the course

objectives and narrative, the program focuses on the following methods of teaching: Explanation method; Inductive and deductive teaching method; Method of Analysis and synthesis; Discussions/debates; Group work; Case studies; Presentation method; Performance-oriented teaching; Demonstrative method; Simulation and role playing Problem bases teaching and other methods. It is possible to give a higher priority to any of the methods or combine methods during learning process, the objective of which is:

- to make learning process more active and stimulate students
- to develop: cognitive/research skills, knowledge applying skills, situation and information analyzing and interpreting skills, results specifying, aggregating and explaining skills, judgement making skills, work structuring and time management skills, problem solving and decision making skills, team and independently working skills, communicating and leading discussion skills, self-presenting and self-assessing skills, and other skills.

Students are getting familiar with these skills enabling them to:

- set goals and find ways and methods to achieve,
- structure the work
- conduct step-by-step planning and organize time
- use library resources and information-communication technologies actively to find necessary information
- find tasks, relevant information, data and literature
- analyze information/data through application of relevant methods
- communicate verbally/non-verbally
- prepare presentaion
- self-present a competency
- make conclusions, provide logical arguments and etc.

Applied methods of teaching are indicated in appropriate course syllabus. specification can be found on <http://sabauni.edu.ge/ge/for-students/regulations-rules> and is available for everybody. Applied methods of teaching reach planned subject oriented and general competencies. Applying a set of methods in all components of the bachelor program ensures the formation of subject oriented and general competencies complying with Bachelor’s academic degree.

Assessment Rules of Student Achievements

Students will be assessed with the 100 point system in compliance with law of Georgia according to which 5 positive and 2 negative assessments are recognized

| | | | |
|---|---------------------------|---|--------------|
| 1 | 91% and more of max grade | A | Excellent |
| 2 | 81-90% of max grade | B | Very Good |
| 3 | 71-80% of max grade | C | Good |
| 4 | 61-70% of max grade | D | Satisfactory |
| 5 | 51-60% of max grade | E | Sufficient |

| | | | |
|---|---------------------------|----|----------------|
| 1 | 41-50% of max grade | FX | Unsatisfactory |
| 2 | 40% and less of max grade | F | Failure |

FX Unsatisfactory - meaning a student needs more effort to pass an examination and is given an extra chance to pass an additional examination through independent work. (Final exam will be assigned in 1-5 days since declaration of the results of the final exam);

F (Failure) - meaning the student’s effort is not enough and he has to learn the subject anew.

The sum of intermediate assessments and final exam is referred to as a Final Assessment.

| Course max 100 points | | Professional Internship max 100 points | |
|------------------------------|------------|--|-----------|
| 1. Midterm Assessments | 70 points: | Midterm assessments | 70 points |
| 1-A Midterm exam | 20 points | Defend an internship report | 30 points |
| 1-B Other Midterm Components | 50 points | | |
| 2. Final Exam | 30 points | | |
| | | Bachelor Thesis max 100 points | |
| | | | |
| | | Midterm assessments | 60 points |
| | | Defend Bachelor Thesis | 40 points |

Only those students whose status is active and can meet the requirements of minimal assessment (minimum 21 points of mid-term assessments (30% of mid-term's max assessment (70 points)) will be admitted on the final exam. Minimal competency core for final exam is defined as 30% of the final exam's maximum assessment (30 points) plus 1 point that is 10 points. Final exam is referred to as passed, if student accumulates minimum 10 points on the final exam. the sum of both assessments is referred as a Final Assessment (maximum 100 points). The rules of assessment of student's achievements are bound by regulations of department of learning process (see: <http://sabauni.edu.ge/ge/for-students/regulations-rules>) and and by specified course/program syllabus in which the system of assessment as well as methods and criteria of assessment is described. Credit (ECTS) is earned, if student accumulates minimum 51 points in compliance with midterm and final assessment rules

Employment Opportunities

Based on entrepreneurial knowledge and skills, Graduates will raise funds, collect innovative ideas, work out appropriate business-project, undertake business-activity, ensure sustainable expansion of the business, export a business abroad and through developing new services create new brands and extend company's image worldwide. Likewise, acquired knowledge is a guarantee that graduates will find a proper jobs both in private and public sector and can carry out activities in following areas: Financial accounting and other finance-related activities; Logistics and procurement; Marketing and public relations; Strategic planning and management of operations; Planning and implementing human resources policy; Management of banking operations; Intermediation on the capital market; managing conflicts; sustaining economic development through participation of conducting right economic policy; Budget planning for public and private enterprises; forecasting variety of trends through analysis of global turbulence and macroeconomic indicators. Graduates will have an ability to define own needs and to evaluate and share own and others' attitude towards values, characteristic for professional activity. From this point of view, graduates should be able to find jobs on lower and middle level manager positions. Consequently, graduates will: a) take part in the process of planning and organizing of enterprises; b) make decisions; c) conduct administrative affairs; d) efficiently head organization's functional departments, and e) elaborate strategic plans and innovative projects.

Contact: Akaki Tsomaia 577445051; e-mail: tsomaiaakaki@gmail.com

სტუდენტის მიღწევების შეფასების ზოგადი წესი

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ხუთი სახის დადებითი შეფასება

| | | | |
|---|---------------|---|-------------------|
| 1 | 91 - 100 ქულა | A | ფრიადი |
| 2 | 81 - 90 ქულა | B | ძალიან კარგი |
| 3 | 71 - 80 ქულა | C | კარგი |
| 4 | 61 - 70 ქულა | D | დამაკმაყოფილებელი |
| 5 | 51 - 60 ქულა | E | საკმარისი |

ორი სახის უარყოფითი შეფასება

| | | | |
|---|--------------|----|-------------|
| 1 | 41 - 50 ქულა | FX | ვერ ჩააბარა |
| 2 | ≤ 40 ქულა | F | ჩაიჭრა |

FX = 41-50 ქულა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დამატებითი გამოცდა შეიძლება დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში).

F = 40 ქულა და ნაკლები (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

შეფასების ფორმები და კომპონენტები

შუალედური შეფასება, მათ შორის: 70 ქულა

პერიოდული შეფასება 30 ქულა

შუალედური

გამოცდა 30 ქულა

ინდივიდუალური საშინაო დავალება/პრეზენტაცია/პროექტი 10 ქულა

დასკვნითი გამოცდა 30 ქულა

შენიშვნა: შეფასების განსხვავებული სისტემა შესაძლებელია განისაზღვროს კონკრეტული პროგრამით და სილაბუსით.

სამაგისტრო პროგრამები

საგანმანათლებლო პროგრამა: თეოლოგია (Theology)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი თეოლოგიაში (Master of Humanities in Theology)

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის თეოლოგიაში აკადემიური ხარისხის მქონე, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები, თეოლოგიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში მოქმედების, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების და დამოუკიდებლად გადაჭრის, თეოლოგიურ საკითხებთან მიმართებაში მეცნიერული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენების, საღვთისმეტყველო სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან პროფესიონალურ დონეზე კომუნიკაციისა და დებატებში მონაწილეობის უნარები, ექნება გაღრმავებული ინდივიდუალური ცნობიერება, ანალიტიკური აზროვნება რწმენის ფენომენის ირგვლივ, ობიექტური და ტოლერანტული პოზიცია განსხვავებული შეხედულებების, ტრადიციებისა თუ კულტურების მიმართ და შეძლებს ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებას, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას და სხვ., რის შედეგად პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში), პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი კომპეტენციების და შესაძლებლობების წარმატებით რეალიზაციას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს, სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე, შეუძლია ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება და ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერება შემდეგი ასპექტებიდან გამომდინარე:

- წმიდა წერილის კონკრეტულ წიგნთა შინაარსისა და მისი თეოლოგიური საზრისის შეცნობა - აქვს ძველი და ახალი აღთქმის კონკრეტულ წიგნთა შინაარსობრივი ღრმა და სისტემური ცოდნა და დეტალურად აცნობიერებს მისი ჩამოყალიბების ისტორიას. სიღრმისეულად იცის ეგზეგეტიკის სკოლების მიდგომის სპეციფიკა. გაცნობიერებული აქვს წმიდა წერილის ისტორიული და კულტურული კონტექსტი და თეოლოგიური საზრისი კონკრეტულ პერიოპებთან მიმართებაში;
- ეკლესიის ისტორიის და ეკლესიის მამათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცოდნა - აქვს ეკლესიის ისტორიის კონკრეტულ პერიოდთა სიღრმისეული სისტემური ცოდნა, როგორც დასავლეთ ევროპის, ასევე აღმოსავლეთის საქრისტიანოს ჩათვლით, აქვს ეკლესიის მამათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის სიღრმისეული ცოდნა;
- ქრისტიანული დოგმატიკის ცოდნა - სიღრმისეულად იცის ეკლესიის ისტორიულ-დოგმატური განვითარების ასპექტები. აქვს ეკლესიის ძირითადი მოძღვრების ღრმა სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს დოგმატურ საკითხთა ისტორიულ ჭრილში დანახვისა და მათი თეოლოგიური მნიშვნელობის გაცნობიერების შესაძლებლობას;
- ფუნდამენტურ-თეოლოგიურ სისტემათა ცოდნა - აქვს ფილოსოფიის ისტორიისა და სხვადასხვა ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტრადიციათა სისტემური ცოდნა, შეუძლია მათი სიღრმისეული გაცნობიერება და ერთიან დოგმატურ ტრაქტატთა სისტემაში ინტეგრირება;
- თეოლოგიური პრობლემატიკის აქტუალობის გაცნობიერება - იცის აქტუალური თეოლოგიური პრობლემატიკის შინაარსი, მისი წარმოშობის მიზეზები და ისტორიაში გადაწყვეტის ფორმები. აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;
- თეოლოგიის დარგის ცოდნა-გააზრება და თეოლოგიური სპეციფიკის გათავისება - აცნობიერებს დარგის საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ მნიშვნელოვნებას. იცის ქრისტიანული ცივილიზაციის ღვაწლი კაცობრიობის ისტორიაში და გააზრებული აქვს მისი მნიშვნელობა;
- ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით - აქვს ფილოსოფიის ისტორიის და ფილოსოფიური სისტემების ცოდნა, სოციოლოგიის, ანთროპოლოგიის უმნიშვნელოვანესი განხრის - რელიგიის სოციოლოგიის და თეოლოგიური ანთროპოლოგიის საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას.

ცოდნის პრაქტიკაში
გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიება, უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით კვლების დამოუკიდებლად განხორციელება, რაშიც მოიაზრება:

- პასტორალური (სულთმოდღვრული) თეოლოგიის გამოყენება - შეძლია ბიბლიურ და ისტორიულ საგანთა ცოდნის საფუძველზე რწმენის გაცოცხლებისა და გადაცემის ფორმების გამოყენება რელიგიის საკითხებზე მუშაობისას საეკლესიო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებში, თანამედროვეობისთვის დამახასიათებელ ნიშანთა ამოცნობა, განსაზღვრა და მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან მიმართებაში გამოყენება საკუთარი პროფესიული გამოცდილების დამოწმებით, შეუძლია წარმოაჩინოს როგორც სპეციალისტი უშუალოდ რელიგიურ და კულტურულ საკითხებში;
- ეკუმენური საქმიანობის განხორციელება - შეუძლია კონფესიათა შორის დიალოგში უშუალო მონაწილეობა რელიგიის საკითხებში ექსპერტის სახით. შეუძლია, როგორც რელიგიისა და ქრისტიანობის მცოდნე, პირდაპირ ჩაერთოს ეკლესიათაშორის დაახლოების პროცესში, დასახოს ეკუმენური საქმიანობის ფორმები და პერსპექტივები;
- ქრისტიანულ ღმრთისმსახურებაში თუ კულტურულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა - შეუძლია განხორციელებულად მიიღოს მონაწილეობა ლიტურგიულ ცხოვრებაში, რჩევებით დაეხმაროს ყველა იმ ქრისტიანს, რომელსაც არ აქვს თეოლოგიური განათლება. არა მხოლოდ პასიურად მიიღოს ღმრთისმსახურებაში მონაწილეობა, არამედ აქტიურად ჩაერთოს მის სრულყოფილ აღსრულებაში, შეუძლია ქრისტიანული კულტურის გარკვეულ საკითხთა პრეზენტაცია სხვადასხვა კულტურულ დონისძიებებში;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით ცოდნის გამოყენება - უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით მულტიდისციპლინურ გარემოსთან დაკავშირებული კომპლექსური პრობლემების კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება;
- უცხო, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარი - შეუძლია განსხვავებულ გარემოში და ახალ, გაუთვალისწინებელ სიტუაციაში ადაპტირება და მოქმედება. შეუძლია მასზე დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება და გაართვას თავი დასახულ ამოცანას მისთვის უცხო გარემოში. სწრაფად შეუძლია შეცვლილ გარემო პირობებთან ადაპტირება, სიტუაციის რაციონალურად აღქმა, საკუთარი ძალის კონცენტრირება და ამის საფუძველზე მოქმედებით მაქსიმალური ეფექტის მიღება.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის და ინოვაციური სინთეზის, უახლესი კვლევების და მონაცემების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, რაშიც მოიაზრება:

- ქრისტიანული მოძღვრების პრობლემის ჭრილში დანახვა და აქედან გამომდინარე დასაბუთებული დასკვნის გამოტანა - თეოლოგიურ შეხედულებათა სიღრმისეული გააზრების და მიღებული ცოდნის ერთიანობაში მოყვანის შედეგად ინფორმაციის ანალიზი და სინთეზი, პრობლემის ამოცნობა, შეფასება, ანალიზი და მისი გადაჭრის გზების დასახვა. დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, თუ რამ გამოიწვია კონკრეტული პრობლემა და რა შედეგები მოჰყვა მის წარმოშობას;
- თეოლოგიის წყაროთა სიღრმისეული შეფასება-ანალიზი და მასში შეცნობილი შინაარსის მნიშვნელობათა იერარქიული განსაზღვრა, პრიორიტეტების სწორი ჩამოყალიბება და დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე თუ რა არის უფრო მნიშვნელოვანი - ქრისტიანული რწმენის ძირითადი დოგმატების ჩამოყალიბების ისტორიის ცოდნიდან გამომდინარე, კვლევის რელევანტური მეთოდების გამოყენებით რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე სიღრმისეული დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია თეოლოგიურ მოძღვრებაში როგორც შემდგომი თეოლოგიური შემეცნებისათვის, ასევე პრაქტიკული ცხოვრებისათვის, სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე ამ პროცესში ტრადიციის ადგილისა და როლის განსაზღვრა, თითოეული დოგმატური ტრაქტატის მნიშვნელობის, არსის, ფუნქციისა და სტრუქტურული ხასიათის განსაზღვრა;
- თეოლოგიურ აზროვნებაში სხვადასხვა მოდელთა განსხვავების ამოცნობა და შესაბამისად მათი საერთო პრინციპების განსაზღვრა, ბიბლიური ტექსტების თეოლოგიური საზრისის განსაზღვრა - კონკრეტული ბიბლიური წიგნის მნიშვნელობის განსაზღვრა წმიდა წერილის მთლიან კორპუსში. თეოლოგიური ჰერმენევტიკისა და ეგზეგეტიკის პრინციპების საფუძველზე ბიბლიური ტექსტებიდან დასკვნის გამოტანა, კონკრეტულ ტექსტთა თეოლოგიური საზრისის განსაზღვრა, აზროვნების სხვადასხვა მოდელთა არსებობის ამოცნობა და აქედან დასკვნის გამოტანა, კონკრეტულ შემთხვევაში თუ რომელი მოდელი იჩენს თავს;
- არგუმენტთა მოშველიებით სარწმუნო გადაწყვეტილების მიღება - მსგავს საკითხზე არსებული შეხედულებების შესწავლის და კრიტიკული ანალიზის შედეგად საფუძვლიანი არგუმენტებით საკუთარი აზრის დასასაბუთება და თავისი გადაწყვეტილების შესაძლო შედეგების განჭვრეტა;
- საკითხის განზოგადება და ზოგადიდან კონკრეტული დასკვნის გამოტანა - რთული და არასრული ინფორმაციის სიღრმისეული ანალიზისა და სინთეზის და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე აზრის განვრცობა, რელევანტური მეთოდების და მიდგომების გამოყენებით კონკრეტული შემთხვევის ანალიზი, მისი განზოგადება და აგრეთვე მის ზოგად კონტექსტში განთავსება. ისევე როგორც რაიმე კონკრეტული

| | |
|---------------------------|--|
| | <p>შემთხვევის მთლიან კონტექსტთან მიმართების განსაზღვრა, ხოლო კონკრეტული ანალიზის შედეგად ზოგადი დასკვნის გამოტანა, სინთეზური ერთიანობის ჩამოყალიბება.</p> |
| <p>კომუნიკაციის უნარი</p> | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია სფეროსთან, თავის დასკვნებთან, არგუმენტებთან და კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე წერითი და ზეპირი კომუნიკაციის დამყარება, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით, დებატებში მონაწილეობა და აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვა, რის შედეგად მას აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინტერდისციპლინარული კომუნიკაციის უნარი - შეუძლია თეოლოგიისა და სხვადასხვა მეცნიერებათა საერთო პრობლემის განსაზღვრა, არათეოლოგიურ მეცნიერებასთან საერთო პრობლემის დანახვა და ამის ირგვლივ დიალოგის გამართვა, სემინარებზე, კონფერენციებზე თუ მსგავსი სახის ღონისძიებებზე თავისი მოსაზრებების არგუმენტირებული წარდგენა და ერთობლივი მსჯელობის წარმართვა; • შიდაკონფესიური და ინტერრელიგიური კომუნიკაციის უნარი - რელიგიის ფენომენოლოგიისა და თეოლოგიური ანთროპოლოგიის საფუძველზე მიღებული ცოდნის გამოყენებით შეუძლია როგორც სხვადასხვა რელიგიათა წარმომადგენლებთან, აგრეთვე შიდაკონფესიური კომუნიკაცია; • არათეოლოგიური ენით რწმენით დაინტერესებული ადამიანებისათვის თეოლოგიური ცოდნის გადაცემისა და მისი დასაბუთების უნარი - შეუძლია რიგით ადამიანებს განუმარტოს რწმენის, ტრადიციისა და მათი აქტუალური ფორმების მნიშვნელობა როგორც საზოგადოებრივი, ასევე პიროვნული ცხოვრებისათვის, ასევე დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრები და მოტივაცია; • წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - შეუძლია ქართულ და ინგლისურ ენებზე კომუნიკაცია უცხოელ პარტნიორებთან, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან, ინგლისურ ენაზე არსებული სპეციალური ლიტერატურის დამუშავება, ინგლისურენოვან გარემოში ორიენტაცია და კომუნიკაცია; • სამუშაო ჯგუფში კომუნიკაციის უნარი - შეუძლია ჯგუფში მუშაობისას საკუთარი პოზიციის წარდგენა, ანგარიშის გაწევა სხვისი მოსაზრებისთვის, ჯგუფის წევრებთან კომუნიკაციის დამყარება საკუთარი და სხვის არგუმენტების შეჯერებით ერთობლივი თანხმობის/კომპრომისის მიღწევის და შემდგომი ურთიერთობისა და გამოცდილებათა გაზიარების შესაძლებლობის მიზნით. |
| <p>სწავლის უნარი</p> | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია თანამედროვე ტენდენციების, მიდგომების და ინფორმაციის დამოუკიდებლად ათვისება და საკუთარი კომპეტენციების ობიექტური შეფასება, დამოუკიდებლად სწავლის წარმართვა და კომპეტენციების სრულყოფა-განახლება, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და მაღალ დონეზე სტრატეგიული დაგეგმვა და უწყვეტი განათლების პრინციპის გაზიარება, რის შედეგად მას აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • პრობლემატური საკითხის დამოუკიდებლად შესწავლის და კვლევის უნარი თეოლოგიურ დისციპლინათა არეალში - თეოლოგიური შემეცნების პირველად და მეორად წყაროთა, მათი კლასიფიკაციისა და |

| | |
|---------------------|--|
| | <p>გამოყენების ფორმების ცოდნის საფუძველზე შეუძლია უფრო სიღრმისეული ცოდნის მიღება, რომელიც ეხება ბიბლიური, დოგმატური, ისტორიული თუ მორალური თეოლოგიის საკითხებს, რაც გაულრმავებს თეოლოგიის და თეოლოგიური პრობლემატიკის შესწავლის მოტივაციას;</p> <ul style="list-style-type: none"> • ზოგადი პრინციპებისა და თეოლოგიური ჰერმენევტიკის ცოდნის საფუძველზე სწავლის შემდგომი შინაარსის გაღრმავების უნარი - ათვისებული აქვს თეოლოგიური აზროვნების იმ უმთავრესი პრინციპები, რომლის საფუძველზე შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა, ამ პროცესში წარმოაჩინოს საკუთარი ჰერმენევტიკული პროფილი და განსაზღვროს პრობლემატიკის შინაარსი; • ეკლესიის მამათა და თანამედროვე თეოლოგთა გამოცდილების გათვალისწინებით საკუთარი მეთოდოლოგიის შემუშავების და ახალი მონაცემების გამოყენებით ახლის მოძიების, შემეცნებისა და ცოდნის გაღრმავების უნარი - შეუძლია ეკლესიის ისტორიულ-დოგმატური მასალის ათვისების შემდეგ განსაზღვროს სწავლის საკუთარი მეთოდოლოგია, სწავლების თანმიმდევრულობა და ახალი ცოდნის არეალი, ანუ განსაზღვროს თეოლოგიურ ტრაქტატთა ის მოდელები, რომელთა გამოყენებას ან შესწავლას გადაწყვეტს და რომლებიც არ წარმოადგენენ ე.წ. „სასკოლო თეოლოგიის“ საგანს; • თეორიული ცოდნის გაღრმავების მიზნით სხვადასხვა წყაროებიდან დამხმარე ინფორმაციის მოძიების და პროფესიული გამოყენების, პირველადი და მეორადი წყაროების შეფასებისა და კვლევის ახალი მეთოდების ათვისების უნარი - შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა, დამოუკიდებლად განსახილველი თემისა თუ საკითხის შესაბამისი კვლევის მეთოდის მოძიება და გამოყენება. სხვადასხვა წყაროების საფუძველზე საჭირო ინფორმაციის დაგროვება, მათი სისტემატიზაცია და შეფასება, წყაროთა მნიშვნელობის განსაზღვრა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება და კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში კვლევის შედეგების შეჯამება, ახლის ჩვენების უნარი. |
| <p>ღირებულებები</p> | <p>კურსდამთავრებულს აქვს ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის მოტივაცია, რაშიც მოიაზრება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქრისტიანულ ღირებულებათა პრაქტიკული გადაცემა. რწმენის, სიყვარულისა და იმედის გამოხატულება. რწმენის თავისუფლების პატივისცემა, ტოლერანტობა განსხვავებულისადმი - ღირებულებებისადმი შემეცნებისა და მათდამი ერთგული დამოკიდებულების ჩამოყალიბება. პიროვნების ღირსების დაცვა, სიცოცხლის ხელშეწყობა, დაუცველთა ინტერესების დაცვა, მოყვასისადმი სიყვარულის დამოწმება, საზოგადოებისადმი ზრუნვა, საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება როგორც ინდივიდუალური, ასევე სოციალური საკითხების მიმართ; • კონსტრუქციული აზროვნების, თვითკრიტიკის და სხვათა ჰუმანური შეფასების უნარი – შეუძლია თვითკრიტიკა, საკითხისა თუ რაიმე პრობლემის პოზიტიური შეფასება, გადაწყვეტიების მიღებისას |

ღირებულებათა იერარქიის გათვალისწინება და კონსტრუქციული პოზიციის გამოვლენა, ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება;

- გათავისებულები და გაცნობიერებული ეთიკური მოსაზრებები - ადამიანებთან ურთიერთობისას შეუძლია ეთიკის ნორმების დაცვა და საზოგადოების წევრების განსხვავებული კულტურული ფასეულობების გაითვალისწინება როგორც პროფესიული საქმიანობისას, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში, ძირითადი მორალური პრინციპების ერთგულების და მათი დაცვის მოტივაცია;
- პროფესიონალიზმისაკენ სწრაფვა და ჰუმანური ღირებულებებისადმი ერთგულება - აფასებს პროფესიონალიზმს და აქვს საკუთარ ცხოვრებაში მისი დაცვის სწრაფვა, აქვს ჰუმანური ღირებულებების, როგორცაა თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა, მოყვასისადმი მსახურება, სიკეთისაკენ სწრაფვა, დემოკრატიისათვის და დემოკრატიული ცნობიერების ხელშეწყობა, დამკვიდრებაში წვლილის შეტანის მოტივაცია.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

120 ECTS 4 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი), სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა, ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს.

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამეცნიერო და კვლევით დაწესებულებებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საგამომცემლო დაწესებულებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, და სხვ., სადაც მოითხოვება/საკმარისია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის თეოლოგიაში აკადემიური ხარისხი.

საკონტაქტო პირი: ვაჟა ვარდიძე ტელ: 599765146; e-mail: v.vardidze@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი (LAW)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი (Master of Law)

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- სამართლის ფილოსოფიის არგუმენტაციის ჭრილში, შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში და გამოუმუშავოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.
- გამოუმუშავოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- გამოუმუშავოს აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების გაზიარების უნარი;
- გამოუმუშავოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და სამეცნიერო კვლევის უნარი;
- გამოუმუშავოს სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების ფორმირების უნარი.

სწავლის შედეგები

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- (A) ახდენს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე არსებული სამართლებრივი პრობლემების კომპლექსურ შეფასებას, ფორმულირებას და სამართლის ფილოსოფიის არგუმენტაციის ჭრილში, განმარტების მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის საუკეთესო გზებს;
- (B) აანალიზებს საკანონმდებლო ნოვაციებს, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკას, მეცნიერულ სიახლეებს და თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საფუძველზე აყალიბებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;

- (C) მსჯელობს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გათვალისწინებით, ქართულ და ინგლისურ ენებზე, წერილობითი და ზეპირი ფორმით;
- (D) ახდენს პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზითა და ინტერპრეტირებით სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაგეგმვას, აგროვებს პირველად მონაცემებს შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით, ამოიცნობს სამეცნიერო კვლევის შესრულებისთვის საჭირო სამართლებრივ კვლევის მეთოდებს, შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს;
- (E) აანალიზებს იურიდიული პროფესიების ეთიკურ, ზნეობრივ და მორალურ ასპექტებს, სამეცნიერო კვლევების ეთიკურ შედეგებს და, საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო

სამართლის მაგისტრი მომზადებულია სამართლის სფეროში მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. შესაბამისად, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

საკონტაქტო პირი: დიმიტრი გეგენავა ტელ: 577233847; e-mail: d.gegenava@sabauni.edu.ge;

საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (Master of Business Administration)

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

პროგრამა შეესაბამება სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მისიაში ასახულ მიზნებს და უზრუნველყოფს ინოვაციებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა ცოდნა, მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმატებული საქმიანი კომუნიკაციის დამყარების, დარგისთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების მეშვეობით ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზის, პრობლემების მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერების, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისა და სწორი დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი, საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა, პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის, კომპეტენციების სრულყოფისა და პროფესიონალური განვითარების მოტივაცია, რის შედეგად პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ საერთაშორისო და ადგილობრივი შრომის და განათლების ბაზრის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას – სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში), ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატურ აღქმას, სწრაფ ადაპტირებას და კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებას, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი კომპეტენციების და შესაძლებლობების რეალიზაციას და კარიერულ წინსვლას.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მომზადების საჭიროება ბაკალავრის სტუდენტთა გამოკითხვებმა და კვლევითი ჯგუფის მიერ ჩატარებულმა ბაზრის ანალიზამ აჩვენა. ამიტომ ეს პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, კერძოდ, ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი, ლუბლინის (პოლონეთის) კათოლიკური უნივერსიტეტი. ეს პროგრამა ფოკუსირებულია და ითვალისწინებს კადრების მომზადებას ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ასევე, პერსონალი ჩართულია Erasmus+ გაცვლით პროგრამებში, მობილობაში, რამაც საშუალება მოგვცა შეგვემუშავებინა ახალი სამაგისტრო პროგრამა.

მოცემული პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა, კომპლექსური პრობლემების ორიგინალური გადაწყვეტის იდეების ძიების, კვლევების თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე, გამოუმუშავოს დინამიურ ბიზნეს გარემოში პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევები; გააანალიზოს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები; თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზის საფუძველზე შეიძინოს კომპეტენციები ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე; შეძლოს მენეჯმენტის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, შედეგების სწორი ინტერპრეტაცია, განახორციელოს პრაქტიკული ხასიათის პროექტები; გამოიმუშაოს ანალიზის, კრეატიული და ინოვაციური აზროვნების უნარები; შეძლოს რთული და არასრული ინფორმაციის, მონაცემების შეგროვების საფუძველზე სიტუაციების კრიტიკული ანალიზი და განზოგადებული დასკვნების ჩამოყალიბება; შეძლოს კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.

სამაგისტრო პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მოღვაწეობისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკული უნარების დაუფლების შესაძლებლობას.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა მოახდინოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზი, რაც მოცემული პროგრამის წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია. კერძოდ, სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა სხვადასხვა მიმართულებით მოახდინონ მინი პროექტების დაწერა და მათი პრეზენტაცია, და გამოიმუშაონ გარკვეული საჭირო უნარ-ჩვევები, მიიღონ ადამიანებთან საქმიან გარემოში ურთიერთობის გამოცდილება, რაც გარკვეულწილად მათი წარმატებული კარიერის ერთ-ერთი საფეხური იქნება.

სწავლის შედეგები

| | |
|-----------------------|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | კურსდამთავრებულს აქვს სფეროს ღრმა ცოდნა, რომელიც რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; |
|-----------------------|---|

| | |
|--|---|
| | <ul style="list-style-type: none"> • ღრმა და სისტემურ დონეზე გლობალური ბიზნეს სუბიექტების და მათი ბიზნეს-ინტერესების განსაზღვრა; ანალიზისა და საერთაშორისო სტრატეგიული მენეჯმენტის ტექნოლოგიები. • ღრმა და სისტემურ დონეზე სტრატეგიულ მენეჯმენტში გრძელვადიანი კონკურენტული სტრატეგიების შემუშავების, შეფასების მექანიზმები და პრინციპები, რომლის საფუძველზეც გააცნობიერებს სტრატეგიულ მენეჯმენტში ცალკეული პრობლემის გადაჭრის მართვის ახალ, ორიგინალურ გზებს. • მარკეტინგის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას და მარკეტინგული კომპლექსისა და ფუნქციურ არეებთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გათვინობიერება; • კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების სხვადასხვა ფუნქციური არეების ღრმა და სისტემური ცოდნა და მათთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გათვინობიერება; • ლოკალური თუ საერთაშორისო მასშტაბით ბიზნესის მართვის თეორიებისა და პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა და მათთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გათვინობიერება; • ორგანიზაციის ოპერაციული და სტრატეგიული დაგეგმარება-ოპერირების სხვადასხვა ფუნქციური არეების ღრმა და სისტემური ცოდნა; • კვლევის მეთოდებსა და მიდგომებში ღრმა და სისტემური ცოდნა. |
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>კურსდამთავრებულს აქვს მართვის მეცნიერებისა და მონათესავე დარგების თანამედროვე მიღწევათა, ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; , კერძოდ:</p> <p>დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დამოუკიდებლად მუშაობისა და, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი; 2. ცვალებად და მრავალფეროვან ბიზნესგარემოში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის უნარი; 3. ბიზნეს ორგანიზაციაში მრავალფეროვან ჯგუფთან მუშაობის უნარი; 4. ხელმძღვანელობის უნარი; 5. ორგანიზაციული რესურსების ეფექტურად გამოყენების უნარი; |

| | |
|--------------------|--|
| | <p>6. ბიზნესის პროექტირების და მისი ეფექტურად გაძღოლა-კონტროლის უნარი;</p> <p>7. ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე მმართველ პოზიციებზე მუშაობის და კადრებთან მუშაობის უნარი;</p> <p>8. ცვლილებების განხორციელების უნარი;</p> <p>9. ფართო სპექტრის ბიზნეს კვლევების წარმოების უნარი.</p> |
| დასკვნის უნარი | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის შედეგად დასაბუთებული დასკვნების გაკეთების უნარი; რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახალი იდეების 2. ჩამოყალიბების, ინოვაციურობისა და კრეატიულობის უნარი; 3. კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი 4. სისტემური აზროვნების უნარები |
| კომუნიკაციის უნარი | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქართულ და ინგლისურ ენაზე აკადემიურ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდებისა თუ შედეგების კომუნიკაცია; 2. ქართულ და ინგლისურ ენაზე პროფესიულ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების კომუნიკაცია; 3. ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან 4. ინტერდისციპლინარულ ჯგუფში და არასპეციალისტებთან მუშაობისა და დასკვნების, არგუმენტაციისა და შედეგების კომუნიკაციის უნარი |
| სწავლის უნარი | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი 2. სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების, განსაზღვრისა და, შესაბამისად, მოქმედების უნარი 3. სწავლის პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი |
| ღირებულებები | <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> |

1. ქართული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის და ბიზნეს-მართვისათვის მიღებული ღირებულებებისა და ფასეულობებისადმი დამოკიდებულების შეფასების, შესაბამისად მოქმედებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი;
2. ბიზნესის ეთიკურად მართვის მიდგომების შეფასებისა და შესაბამისად, მოქმედების უნარი.

**პროგრამის მოცულობა
კრედიტებით**

124 ECTS 4 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი), სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა, ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს.

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო

პროგრამა ორიენტირებულია კვალიფიციური კადრის მომზადებაზე, ეფუძნება შრომის ბაზარზე არსებულ რეალურ მოთხოვნებს და დარგში დადგენილ დარგობრივ სტანდარტებს. კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ როგორც ქართულ, ისე უცხოურ კომპანიებში შემდეგ სექტორებში:

საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები;

სახელმწიფო სექტორი:

- საქართველოს მთავრობა
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტრო;
- სტატისტიკის ეროვნული ბიურო;
- ეროვნული ბანკი
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

- და სხვ.

კერძო სექტორი:

- საბანკო
- სადაზღვევო
- აუდიტორული ფირმები
- სადისტრიბუციო
- საცალო ვაჭრობის კომპანიები
- სარეკლამო კომპანიები
- კვლევითი კომპანიები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები

და სხვ.

საკონტაქტო პირი: თამთა მიქაბერიძე ტელ: 577151110 e-mail: mikaberidzetamta@gmail.com

სტუდენტის მიღწევების შეფასების ზოგადი წესი

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ხუთი სახის დადებითი შეფასება

| | | | |
|---|---------------|---|-------------------|
| 1 | 91 - 100 ქულა | A | ფრიადი |
| 2 | 81 - 90 ქულა | B | ძალიან კარგი |
| 3 | 71 - 80 ქულა | C | კარგი |
| 4 | 61 - 70 ქულა | D | დამაკმაყოფილებელი |
| 5 | 51 - 60 ქულა | E | საკმარისი |

ორი სახის უარყოფითი შეფასება

| | | | |
|---|--------------|----|-------------|
| 1 | 41 - 50 ქულა | FX | ვერ ჩააბარა |
| 2 | ≤ 40 ქულა | F | ჩაიჭრა |

FX = 41-50 ქულა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დამატებითი გამოცდა შეიძლება დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში).

F = 40 ქულა და ნაკლები (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

შეფასების ფორმები და კომპონენტები

შუალედური შეფასება, მათ შორის: 70 ქულა

პერიოდული შეფასება 30 ქულა

შუალედური

გამოცდა 30 ქულა

ინდივიდუალური საშინაო დავალება/პრეზენტაცია/პროექტი 10 ქულა

დასკვნითი გამოცდა 30 ქულა

შენიშვნა: შეფასების განსხვავებული სისტემა შესაძლებელია განისაზღვროს კონკრეტული პროგრამით და სილაბუსით.